ახალი განათლება

2012 წელი, 1-7 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№32 (586) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ აცხადებენ ერთობლივ კონკურსს თემაზე „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

კონკურსის მიზანია: გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები და გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი არამატერიალური საგანძურის დაცვისათვის.

კონკურსი გაიმართება ორ ტურად:

პირველი ტური

ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გეგმის მიხედვით, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის, ქუჩისათვის, სკოლისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის აღწერა.

სკოლის შიგნით შერჩეული საუკეთესო, ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში (axaliganatleba@gmail.com). წერილებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. გადმოგზავნის ვადაა **20 ნოემბერი**.

საინტერესო წინადადებები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

პირველი ტურის გამარჯვებულები, კონკურსის ორგანიზატორებთან ერთად, შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საველრიცხვო ბარათს და წარადგენენ მას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში სტატუსის მისანიჭებლად. საუკეთესო ნიმუშებს 20 დეკემბრამდე მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის“ სტატუსი.

საინტერესო წინადადებების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, კლასი, მოსწავლე), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელით და წოდებით – „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი –
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება –
5. სკოლის დირექტორი –
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი) –
7. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის მოკლე აღწერა

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

♦ რას გულისხმობს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ – 5-6 წინადადება.*

♦ მიუთითეთ ნიმუშის დანიშნულება.

♦ რა საშუალებით გამოიყენება ეს ნიმუში პრაქტიკაში – *საჭირო მასალა (ქვა, ძაფი, ხე, მატერია, მეტალი, საკვები პროდუქტი და ა.შ.), მონაწილეების რაოდენობა (დღესასწაული, საგალობელი, შელოცვა, ლოცვა, რიტუალი, წესი და ა.შ.), მონაწილეთა პროფესია (ხევისბერი, მქარგავი, ხური, მზარეული და ა.შ.), შესაბამისი ამინდი, წელიწადის დრო, გარემო პირობები ან სხვა ისეთი პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის შესასრულებლად.*

♦ რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან სამეურნეო, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. *დასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის (5-6 წინადადება).*

სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში – (32)298-39-24, 13.00-15.00სთ ან 599 62 34 99; aramaterialuri@yahoo.com

გაიგე მეტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ – იხ. „ახალი განათლება“ №30

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიმართვა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრის მისამართით უამრავი წერილი შემოდის პედაგოგების, ლექტორების, დირექტორებისა და განათლების სისტემაში მომუშავე იმ წარმომადგენლებისგან, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში სამსახურიდან არიან გათავისუფლებულნი. განმცხადებელთა უმრავლესობა მათი დათხოვნის საფუძვლად პოლიტიკურ შეხედულებას ასახელებს და სამუშაო ადგილზე აღდგენას ითხოვს.

მე, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ვთვლი, რომ იმ ავტორიტარულ სისტემაში, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა, ყველა მხარე სისტემის მსხვერპლია. ჩვენი პოლიტიკა რადიკალურად განსხვავებულია და გვინდა, რომ მთელ საზოგადოებაში და განსაკუთრებით განათლების სფეროში აღარ მოხდეს პოლიტიკური ნიშნით დაყოფა. განათლების სისტემა უნდა ემსახურებოდეს მომავალი თაობის აღზრდასა და განათლებას, ისინი უნდა იზრდებოდნენ ჯანსაღ გარემოში.

ამ მდგომარეობიდან ყველაზე ეფექტურ გამოსავლად მიმაჩნია, რომ თითოეულმა თქვენგანმა, არსებული შესაძლებლობის ფარგლებში, გამონახოთ ყველანაირი საშუალება, რათა შეძლოთ ერთმანეთში მორიგება და თავიდან დაიწყოთ თანამშრომლობა. ჩემი აზრით, ეს იქნება საუკეთესო გზა არსებული პრობლემის მოსაგვარებლად.

მათ კი, ვინც უახლოესი 2-3 კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას, ვთავაზობ მეორე საშუალებას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, უშუალოდ მინისტრის ბრძანებით, შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელიც არსებულ დავებს გაეცნობა და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს ჩემთან ერთად. ამ კომისიის მიზანია, მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული დავის სასამართლო უწყებაში გადატანის რაოდენობა.

იმედი მაქვს, გაგებით მოეკიდებით და გაითვალისწინებთ ჩემს რჩევას და მალე დაუბრუნდებით თქვენს საქმიანობას. პროფესიონალი პედაგოგები ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი საზოგადოებისთვის და, რაც ყველაზე მთავარია, თქვენ უნდა მოახმაროთ და გადასცეთ თქვენი ცოდნა ჩვენს მომავალ თაობას.

პატივისცემით,

გიორგი მარგველაშვილი

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

განათლების სისტემას გადარჩენა და ფეხზე დაყენება სჭირდება

ინტერვიუ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორთან მაია მიმინოშვილთან

2012-13 სასწავლო წლის ბოლოს ჩააბარებენ თუ არა მეთორმეტეკლასელები გამოსაშვებ გამოცდებს?

2013 წელი გარდამავალი წელიწადია და ამის ერთ-ერთი მიზეზია, რომ ძალიან მინდა შევინარჩუნოთ ის, რისი დანერგვაც 2011 წელს დავიწყეთ. ვგულისხმობ კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირების სისტემას, რომელზეც უარი ითქვა ჩვენს აქ არყოფნაში. მოდელი „რვას + ერთი“ არ გულისხმობდა კომპიუტერზე ადაპტირებულ ტესტირებას, ეს იყო ჩვეულებრივი კომპიუტერის მეშვეობით ტესტირება. იმ ურთულესმა ალგორითმმა, რომელიც ჩვენთან შეიქმნა, უამრავი ქვეყნის ყურადღება მიიქცია, ბევრი მაღალი კლასის ექსპერტი აპირებდა ჩამოსვლას და ნახვას, რეალურად რა განხორციელდა საქართველოში. ამის გაგრძელებას, რა თქმა უნდა, ვაპირებთ, თუმცა, ბუნებრივია, დიდი დრო სჭირდება. მეორე – რა თქმა უნდა, გავითვალისწინე ჩვენი მოსწავლეების მღელვარება იმის გამო, რომ არ იყო გარკვეული, რა ელოდებოდათ მაისის თვეში. მესამე – უნდა გაგვეთვალისწინებინა მოთხოვნა, რომ ერთდროულად რვა გამოცდის ჩაბარება, მერე კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარება მოსწავლეებისთვის არც თუ ისე კარგი იყო.

აქედან გამომდინარე, გარდამავალ პერიოდში შემდეგი მოდელი შევთავაზეთ საზოგადოებას – სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ გამოცდა ჩატარდება იმ წელიწადს, როდესაც სრულდება ამა თუ იმ საგნის სწავლება. ასეთი, ახალი სასწავლო გეგმით, აღმოჩნდა: ფიზიკა, ქიმია, გეოგრაფია, ბიოლოგია. მაისის თვეში მეთერთმეტეკლასელები ჩააბარებენ გამოცდას ამ ოთხ საგანში, ხოლო მეთორმეტე კლასში მოუწევთ დანარჩენი ოთხი გამოცდის ჩაბარება: მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და ისტორია. ეს სისტემა მათ საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ სცადონ ბედი საბუნებისმეტყველო საგნებში, თუ ბარიერი ვერ გადალახეს მეთერთმეტე კლასის ბოლოს, გაიმეორებენ მეთორმეტე კლასის ბოლოს. პლუს ამას განიტვირთება ის პერიოდი, როდესაც ორი კვირის განმავლობაში საგამოცდო პროცესი მიმდინარეობდა სკოლებში.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით, წელს, სკოლები აიღებენ პასუხისმგებლობას მოსწავლეების შეფასებაზე. იქნება ეს გამოცდის ფორმით – წერითი თუ ზეპირი, გასაუბრებით, ჩათვლით თუ წლიური ნიშნით, ამ გადაწყვეტილებას თავად სკოლა მიიღებს. შემდეგ უკვე ის აბიტურიენტები, რომლებიც ემზადებიან უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად, გამოცხადდებიან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

რამდენ საგანში ჩააბარებს გამოცდას წლევანდელი მეთორმეტეკლასელი?

2012-2013 სასწავლო წლის ბოლოს მეთორმეტეკლასელებს რვა საგანში შეაფასებს სკოლა, თუ რა ფორმით, ამის გადაწყვეტილებას სკოლა თვითონ მიიღებს. სამომავლოდ ამუშავდება ახალი მოდელი და ვფიქრობ, ის ლოგიკურიც არის და მოქნილიც. თუ ცვლილებები იქნა საშუალო განათლების ან უმაღლესი განათლების საფეხურზე, რა თქმა უნდა, მოვარგებთ ჩვენს სისტემას, იქნება ეს მისაღები გამოცდები თუ გამოსაშვები, მაგრამ პრინციპი შენარჩუნებული იქნება – როცა მოსწავლე ასრულებს კონკრეტული საგნის სწავლას, ბუნებრივია და ლოგიკურიც, სწორედ იმ სასწავლო პროცესის დასასრულს ჩააბაროს გამოცდა.

ინდივიდუალური საგამოცდო პროგრამის შექმნისას, ნებისმიერ სკოლას საშუალება ექნება, სურვილის შემთხვევაში, რჩევები და კონსულტაციები მიიღოს გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისგან.

ეროვნული გამოცდების ტესტები ახლა უნდა მომზადდეს თუ თქვენი უკვე არსებული ბაზიდან აიღებთ?

სასწავლო წლის დასასრულს, მეთორმეტეკლასელები გამოსაშვებ გამოცდებს ცენტრალიზებულად არ ჩააბარებენ. წელს, გამონაკლისის სახით, გამოცდის ფორმატს ინდივიდუალურად შეარჩევს თავად სკოლა. სკოლის პრერეგატივა იქნება ნაშრომების შეფასებაც.

ცოტა დრო მჭირდება, რომ ჩემ კოლეგებთან ერთად გავერკვე, რა სამუშაო ჩატარდა ამ მიმართულებით. რა თქმა უნდა, ინტენსიურად გაგრძელდება მზადება ეროვნული გამოცდებისთვის. ეს ძალიან შრომატევადი სამუშაოა მთელი წლის განმავლობაში.

რამდენადაც ვიცი, საგნობრივი ჯგუფები, რომლებიც აქ მუშაობდნენ, ამზადებდნენ კრებულებს. ჩვენ ინტენსიურად ჩავერთვებით ამ პროცესში. თუ რაიმე პრობლემა შეიქმნება, აუცილებლად შევაშველებთ შარშანდელ კრებულებს და, ახალი კრებულების პარალელურად, მათ დისტრიბუციასაც განვახორციელებთ.

ცენტრს დაუბრუნდა „შეფასებისა და გამოცდების ცენტრის“ სახელი. რას შეცვლის ეს მის ცენტრის საქმიანობაში?

გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზაცია, ბოლო წლებში განსაკუთრებულად, იდენტიფიცირდებოდა საგამოცდო მოდელების დანერგვასთან. რა თქმა უნდა, ნამდვილად ძალიან წარმატებული იყო ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელი, ბევრი სხვა საგამოცდო მოდელიც შევთავაზეთ საზოგადოებას და ამ მხრივ, ცენტრი ნამდვილად წარმატებული ორგანიზცია იყო. მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია სხვა მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდა და ეს კარგა ხნის წინ დაიწყო. სანამ საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა ცენტრი ოფიციალურად, 2002 წელს, სამი წლით ადრე დავიწყეთ მუშაობა, როგორც შეფასების კომპონენტმა, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში და გვქონდა იმის ფუფუნება, რომ 3-4 წელიწადი ძალიან ნაყოფიერად გამოგვეყენებინა. შესაძლებლობა გვქონდა უცხოელ კონსულტანტებთან ერთად გვემუშავა, ბევრი რამ გვესწავლა და გამოცდილება შეგვეძინა. ჩვენ დავიწყეთ ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტით და არა გამოცდებით (თუმცა მაშინ მეცხრე კლასში გამოცდებსაც ვატარებდით), ეს იყო შეფასების კომპონენტი, რაც საგანმანათლებლო-სამეცნიერო კვლევას გულისხმობს და პირველად მაშინ ჩავატარეთ ნაციონალური შეფასება.

2006 წლიდან უკვე უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო კვლევებში ჩავერთეთ. მასში 70-მდე ქვეყანა მონაწილეობს და ბევრი მომავალ საგანმანათლებლო სტრატეგიებს სწორედ ამ კვლევებზე დაყრდნობით გეგმავს. ამ კვლევებში მონაწილეობა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ საშუალებას იძლევა, სისტემას ზუსტი დიაგნოზი დაუსვა, აღმოაჩინო გარკვეული პრობლემები და შემდეგ იფიქრო დაძლევის გზებზე. ამის გარეშე ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა ნამდვილად არასწორია, იმიტომ რომ, მოგეხსენებათ, განათლების სისტემა ძალიან კომპლექსური სისტემაა და პატარა წაცთომაც კი შეიძლება ძალიან ცუდი შედეგის მომტანი იყოს მომავალში. ასე რომ, აქ ძალიან ფაქიზი მოპყრობაა საჭირო და, მით უმეტეს, აუცილებლად უნდა იცოდე, რა დიაგნოზთან გაქვს საქმე. დამეთანხმებით, ადამიანის მკურნალობა დიაგნოზის გარეშე შეუძლებელია. შეიძლება მაღალი სიცხის შემთხვევაში სიცხის დამწევი მისცე, მაგრამ სწორი იქნება, რომ გამოიკვლიო რისგან აქვს სიცხე. რადგან დღეს შეიძლება დაუწიოს სიცხემ, მაგრამ, თუ მიზეზს არ გამოიკვლევ, ხვალ ისევ აუწევს. კარგი ექიმი აუცილებლად გამოიკვლევს მიზეზს. რიგ შემთხვევებში, სწორედ ასეთ ქმედებებს ჰქონდა ადგილი და, ჩვენდა სამწუხაროდ, იმ კვლევების შედეგები არ იქნა გაზიარებული. მიზეზი მარტივი იყო – შედეგები არ ეთანხმებოდა იმ დროს სამინისტროს რიტორიკას, რომ მიმდინარეობს რეფორმა განათლების სისტემაში და ეს რეფორმა წარმატებულია, გავაუმჯობესეთ სწავლების ხარისხი და ა.შ., რაც სრულიად არ შეესაბამებოდა რეალობას. ვფიქრობ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, სერიოზული დაფიქრება გვმართებს, განათლების სისტემას გადარჩენა და ფეხზე დაყენება სჭირდება, პირველ რიგში, საშუალო განათლების საფეხურს ვგულისხმობ. აუცილებლად დიაგნოზით უნდა დავიწყოთ, რეალურად უნდა ვნახოთ, სად გვიჭირს, რა ვითარებაა, რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსწავლის მიღწევაზე. ფაქტორი უამრავია – სასკოლო რესურსები, სახელმძღვანელოები, სასწავლო გეგმები, მშობლების, ოჯახის საგანმანათლებლო რესურსები და ყველაზე მნიშვნელოვანი – მასწავლებლის კვალიფიკაცია. კვლევის შედეგები ძალიან ნათლად გვიჩვენებს, რომელი ფაქტორი უნდა გამოსწორდეს. რაც ყველაზე მთავარია, ეს კვლევები ციკლური ხასიათისაა და პროგრესის შეფასების შესაძლებლობასაც იძლევა. 2006-ში ერთ-ერთ კვლევაში (PIRLS) ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა, შემდეგ 2011-ში. ახლა მზადდება ანგარიში და გვექნება შესაძლებლობა, ვნახოთ, წავიწიეთ წინ 2006 წლიდან თუ ჩამოვრჩით.

საერთოდ, ასეთი კვლევების მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვანაირია. არსებობს ქვეყნები, რომელთაც ასევე არ სიამოვნებთ შედეგები. მაგალითად, გერმანია, სადაც ცნობილი საგანმანათლებლო რეფორმა იყო „პიზა შოკის“ სახელწოდებით. არანაირად არ ელოდნენ იმ შედეგს, რაც „პიზას“ კვლევაში დაფიქსირდა და რეფორმებს, რაც ამ შედეგების საფუძველზე დაიწყო, „პიზა შოკი“ შეარქვეს.

ეს კვლევები შესაძლებლობას გაძლევს, გაითვალისწინო სხვა ქვეყნების გამოცდილება, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნების, რომლებიც პირველ ადგილებზე კი არ არიან, არამედ ისეთის, რომლებმაც ციკლიდან ციკლამდე დიდი ნაბიჯი გადადგეს – რა უჭირდათ, რა დაგეგმეს ისეთი, რომ შედეგები გამოასწორეს. მოკლედ, ზღვა მასალა და მადანია ჩვენს ხელში, რაც ბევრად შეუწყობს ხელს განათლების პოლიტიკის დაგეგმვას მომავალში. როცა იცი, რისკენ მიდიხარ და ბრმად არ დგამ ნაბიჯებს, ბუნებრივია, შედეგიც გაცილებით უფრო ეფექტურია.

ასე რომ, ამას ახორციელებდა ჩვენი ორგანიზაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი თაროზე გვქონდა შემოდებული, ამაზე ხმამაღლა საუბრის უფლება არ გვქონდა. ბოლო პერიოდში ისიც კი შევთავაზე მინისტრს, რომ არ გვინდა შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება, ოღონდ, ხომ შეიძლება, ადამიანმა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, ხვალ როგორ მოიქცეს, რა ნაბიჯები გადადგას, იმან მაინც ჩაიხედოს და დაინახოს, რა არის რეალობა. ამასაც ვერ მივაღწიე და, საბოლოო ჯამში, ბატონმა შაშკინმა საერთოდ უარი განაცხადა ამ კვლევებზე, სრულიად უაზრო მიზეზით. სიმართლე გითხრათ, ეს იყო შოკი ჩემთვის. მე და ჩემმა კოლეგებმა ტელევიზიით გავიგეთ, რომ მინისტრმა გააუქმა საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა და ის ვალდებულებები, რაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან გვქონდა აღებული. გამოაცხადა, რომ საქართველო აღარ მიიღებდა მონაწილეობას ამ სახის კვლევებში.

ეს ყველაფერი აღდგა და მე, რა თქმა უნდა, მინდა ჩვენს ორგანიზაციას დავუბრუნო პირვანდელი სახელწოდება – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. დასახელების პირველი ნაწილი – შეფასების – უფრო მეტი მნიშვნელობისაა, ვიდრე ნებისმიერი საგამოცდო მოდელი. მინდა, რომ ჩვენი ორგანიზაცია გაძლიერდეს ამ კუთხით და, საბოლოო ჯამში, მართლაც პროფესიონალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდეს, იყოს ის ორ-

→ 3

აქტუალური თემა

განიზაცია, რომელიც იქნება სამინისტროს საყრდენი ამ მიმართულებით, მხარდამჭერი, თანამშრომელი, იქნება ის ორგანიზაცია, რომელიც, საბოლოო ჯამში, ძალიან ეფექტურად დაეხმარება სამინისტროს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებაში. იმიტომ რომ, საშუალო საფეხური, ჩემი აზრით, მართლაც გულია განათლების სისტემის. თუ საშუალო განათლების საფეხური სათანადოდ არ დავაყენეთ ფეხზე, ბუნებრივია, შემდეგ უკვე რთული იქნება საუბარი უმაღლეს განათლებაზე, მეცნიერებაზე თუ ა.შ.

აქედან გამომდინარე, ჩვენს ორგანიზაციას მისიაც გაეზარდა და სტატუსიც მეტნაკლებად შეეცვლება. განწყობილები ვართ, რომ მაქსიმალურად მჭიდროდ ვითანამშრომლოთ სამინისტროსთან და გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ ინფორმაცია მივაწოდოთ. გადაწყვეტილების მიღება, რა თქმა უნდა, მინისტრის პრეროგატივაა, მაგრამ ჩვენ ძალიან დიდი სამსახურის გაწევა შეგვიძლია.

ცენტრში ყველა თანამშრომელი დაბრუნდა, ვინც თქვენთან ერთად დატოვა ცენტრი?

გულახდილად გეტყვით, რომ მე იმ ადამიანების გარეშე მუშაობა არ შემიძლია. თუ ჩვენ ვიყავით წარმატებულები, ერთი გუნდი ვიყავით და ამიტომ, ერთად ვაკეთებდით საქმეს და არა თითო-ოროლა ადამიანი ამ გუნდიდან. თუმცა, ვგეგმავ რეორგანიზაციას ცენტრში, იმიტომ რომ, როგორც მოგახსენეთ, მან ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა. იქნება ახალი სტრუქტურა და მინდა, თითოეულ პოზიციაზე გამოვაცხადო კონკურსი, ყველა ადამიანი ჩავაყენო თანაბარ პირობებში – იქნება ეს ძველი თანამშრომელი, რომელსაც მართლაც ძალიან დიდი გამოცდილება აქვს, ახალი, რომელმაც სამი თვე იმუშავა, თუ გარედან მოსული, რომელიც შესაძლებელია ძალიან კარგი იყოს.

რეორგანიზაცია არ გულისხმობს ადამიანის სამსახურიდან გაშვებას. თითოეულ პოზიციაზე, ობიექტურად, ძალიან მაღალი რანგის პროფესიონალი დაგვჭირდება. საუბარია იმ პროფესიონალებზე, რომლებიც შინაარსობრივ ნაწილში, კვლევით ნაწილში უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებენ. ასე რომ, ჩავატარებთ ამ პროცედურას, გავივლით და მერე ვნახოთ.

სხვა რა სიახლე იგეგმება?

დღეს პირველი შეხვედრა მქონდა თბილისის სკოლების დირექტორებთან. სამწუხაროდ, რეგიონების სკოლების დირექტორებს ასეთ სწრაფ რეჟიმში ვერ შევხვდი, მაგრამ ვგეგმავ პედაგოგებთან და დირექტორებთან შეხვედრებს, ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე მინდა მათთან საუბარი. ჩვენ არ ვიყავით მიჩვეული გადაწყვეტილებების მიღებას მანამ, სანამ შეხვედრები არ გვექნებოდა პედაგოგებთან, მათ მოსაზრებებს ვისმენდით და ვიზიარებდით. გასაგები მიზეზების გამო ახლა ნაჩქარევად იქნა გადაწყვეტილება მიღებული გამოცდებთან დაკავშირებით – ყველა ელოდებოდა, რა იქნებოდა 2013 წელს და მომდევნო წლებში.

ჩემს კოლეგებთან – პედაგოგებთან და დირექტორებთან, რა თქმა უნდა, ვისაუბრებ საგამოცდო მოდელებზე და აუცილებლად იმაზე, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული, საბოლოო ჯამში, საშუალო განათლების საფეხური; ასრულებს თუ არა საკუთარ დანიშნულებას სკოლა და თუ არ ასრულებს, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს ფუნქცია ბოლომდე დაუბრუნდეს და ა.შ.

თქვენ რას შესთავაზებთ განხილვისთვის?

არ მინდა, თავს მოვახვიო მათ ჩემი მოსაზრება, ამიტომ კითხვით დავიწყებ. თუ მე გავამხელ საკუთარ მოსაზრებას, შეიძლება განხილვამ ასეთი ფორმა მიიღოს – გეთანხმები ან არ გეთანხმები. მინდა, მათგან მოვისმინო, ამიტომ დავსვამ კითხვას – როგორი უნდა იყოს საშუალო განათლების საფეხური?

ჩემი აზრით, სკოლის ძირითადი დანიშნულებაა, მოამზადოს ახალგაზრდა მომავალი ცხოვრებისათვის. მომავალ ცხოვრებაში, იგულისხმება შემდეგი: შეიძლება მე გადაწყვეტილი მაქვს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გავაგრძელო ან გარკვეული პერიოდის შემდეგ მომინდეს ეს; იგულისხმება ისიც, რომ არ მინდა სწავლის გაგრძელება, მინდა პროფესია შევიძინო და შემდეგ ვიმუშაო, სკოლამ ამისთვისაც უნდა მოამზადოს ახალგაზრდა. შესაძლებელია, არც პროფესია მინდოდეს და პირდაპირ მუშაობა დავიწყო. ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი სეგმენტია პროფესიული განათლება, პროფესიული კოლეჯები აუცილებლად უნდა აღორძინდეს. ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ ალტერნატივა. პროფესიულ კოლეჯში წასულ ახალგაზრდასაც, სურვილის შემთხვევაში, უნდა მიეცეს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის შესაძლებლობა. მას არაფერი არ უნდა აფერხებდეს, სისტემა უნდა გულისხმობდეს, ახალგაზრდამ ეს როგორ მოახერხოს. სკოლის უმნიშვნელოვანესი მისიაა – მისცეს ახალგაზრდას სრული ზოგადი განათლება, მოამზადოს მომავალი ცხოვრებისათვის.

აქედან გამომდინარე, ისმის პირველი კითხვა – ასრულებს თუ არა ამ მისიას სკოლა? მინდა, რომ ყველამ ერთად ვუპასუხოთ ამ კითხვას. ჩემი მოსაზრება მაქვს, მაგრამ არავის მოვახვევ თავს. მეორე შეკითხვა ასეთია – თუ არ ასრულებს, სად არის პრობლემა და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს მისია აიღოს თავის თავზე?

რას ვგულისხმობთ სრული ზოგადი განათლების ქვეშ? ცოდნის რა მოცულობა უნდა გადავცეთ მოსწავლეებს, რა უნარები უნდა განვუვითაროთ, რომ შეძლოს ფიქრი უმაღლეს სასწავლებელზეც, პროფესიის მიღებაზეც ან პირდაპირ მუშაობის დაწყებაზეც. რა საბაზისო ცოდნა სჭირდება მოსწავლეს, რომ ამისთვის იყოს მზად? ეს ძალიან სერიოზული კითხვაა და, რა თქმა უნდა, პასუხის გასაცემად ძალიან სერიოზული მუშაობაა საჭირო. მაგალითად, მჭირდება თუ არა მათემატიკაში ლოგარითმული განტოლების ამოხსნის ცოდნა, თუ ზოგადი განათლების კურსის გავლის დროს მეტი აქცენტი გაკეთდეს იმაზე, რომ გავიგო წილადის არსი და ფორმალურად არ ვუყურებდე მრიცხველს, მნიშვნელს, მხოლოდ და მხოლოდ წესი ვიცოდე, როგორ იკრიბება წილადი და არსი არ მესმოდეს. ცოტა მეტი ყურადღება ხომ არ უნდა დავუთმოთ, მაგალითად, იმას (ლოგარითმული განტოლების ამოხსნის სწავლების ხარჯზე), რომ მოსწავლეს კარგად გავაგებინოთ პროცენტი, ფიგურის ფართობის დათვლა, გეომეტრიული ფიგურების ერთმანეთისგან განსხვავება, მოცულობის დათვლა – ის, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოადგება. როცა შეკრება-გამოკლების და გამრავლება-გაყოფის შემდეგ შემოდის წილადები, ეს არის ნახტომი და მოსწავლეს უჭირს გაგება, თუნდაც სწავლების მეთოდოლოგიის გამო და კიდევ იმის გამო, მე ასე მგონია, რომ ნაკლები საათებია დათმობილი. თუ ლოგარითმული განტოლება არ უნდა ვასწავლო, ის დრო შეიძლება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანს დავუთმო – ბაზისი შევუქმნა ახალგაზრდას, რაც, ელემენტარულად, მუშაობის დროს დასჭირდება.

ბევრი ექსპერტისა და პროფესიონალის ჩართვით უნდა მოხდეს საერთო შეთანხმება იმაზე, თუ რას ვგულისხმობთ ზოგად განათლებაში. ეს ის ძირითადი კითხვებია, რომლებიც უპასუხოდ არ უნდა დარჩეს. პირადად მე ვფიქრობ, რომ საშუალო, ზოგად და უმაღლეს განათლებას შორის უნდა იყოს რაღაც ხიდი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოამზადებს იმ მოსწავლეებს, რომლებმაც უნდა გააგრძელონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში. ვფიქრობ, ათი წელი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მოსწავლემ მიიღოს ზოგადი განათლება, რის შემდეგაც გაიცემა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სერტიფიკატი (ცენტრალიზებული გამოცდების თუ სხვა სახით, ეს გადასაწყვეტია) და ეს არ იქნება ფარატინა ქაღალდი. ეს დოკუმენტი ბევრ რამეს გვეტყვის მოსწავლეზე, რომ ის მზად არის შეგნებული არჩევანის გასაკეთებლად – აირჩიოს უმაღლესი სასწავლებელი, პროფესიული კოლეჯი თუ იმუშაოს. დამქირავებლისთვისაც, სადაც ახალგაზრდა სამუშაოდ მივა, ეს სერტიფიკატი მრავლისმეტყველი იქნება და არა ფარატინა ქაღალდი.

შემდგომი ორი წელიწადი – მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასები – უნდა იყოს, ერთი მხრივ, ორიენტირებული იმ მოსწავლეზე, ვინც უმაღლეს სასწავლებელში აპირებს სწავლის გაგრძელებას; მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა იყოს პროფესიული მიმართულება. ამ სისტემაში დღეს სერიოზული ხარვეზია. რა თქმა უნდა, სკოლას შეუძლია ეს მისია შეითავსოს, შესთავაზოს მოსწავლეებს ორწლიანი, „ჰაისქულის“ ტიპის მოსამზადებელი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად (სადაც, მაგალითად, მე თუ მათემატიკა ავირჩიე, უკვე ინტენსიურად ვსწავლობ და არ შემოვიფარგლები პროცენტებით და წილადებით, არა თუ ლოგარითმული განტოლებები, შეიძლება უტოლობებიც კი ვისწავლო). ასევე, სკოლას შეუძლია შესთავაზოს პროფესიული განათლება. შეიძლება ცალკე იყოს კოლეჯები, მაგრამ სკოლასაც უნდა ჰქონდეს ამის შესაძლებლობა – ან ერთი შესთავაზოს, ან მეორე, ან ორივე ერთად, ან არც ერთი, ამ შემთხვევაში, მოსწავლეს სხვა სკოლაში მოუწევს გადასვლა.

ვფიქრობ, რომ ბოლო ორ წელიწადს თუ კარგად დავაწყობთ, ეს მნიშვნელოვნად გაზრდის განათლების ხარისხს. პირველ რიგში, მასწავლებელს გაუადვილდება კლასში მუშაობა, იქ ისეთი მოსწავლეები იქნებიან, ვინც თვითონ აირჩიეს მათემატიკა, ჰომოგენური კლასი იქნება და არ იქნებიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც მათემატიკის გაკვეთილზე იძულებით შეჰყავთ. ამ პირობებში, ორი წლის განმავლობაში, მართლაც სერიოზულად შეიძლება მუშაობა კონკრეტული აკადემიური მიმართულებით, რასაც მოსწავლე აირჩევს. თუ სწავლება ასეთი ფორმით აეწყო, პირადად მე ვფიქრობ, რომ ეს რეპეტიტორთა ინსტიტუტთან ბრძოლის საუკეთესო საშუალება იქნება.

ყველაფერ ამაზე გვაინტერესებს პედაგოგების და დირექტორების მოსაზრებები. მინდა, ყველაფერი შევაგროვო, ჩამოვაყალიბო და უკვე შემდეგ, ამ მიმართულებით, მინისტრთან ვითანამშრომლებ.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

კონცეფცია – აკადემიური თავისუფლება

ინტერვიუ ფიზიკოს გია დვალთან

ბატონო გია, რა იქნება ახლად შექმნილი განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის მოვალეობა?

ეს კომისია არის ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია დამოუკიდებელი პროფესიონალებით, ვისაც ამ პოზიციასთან ინტერესთა კონფლიქტი არ აქვს. ყოველ შემთხვევაში, კომისიის წევრების უდიდესი ნაწილი არ იქნება ხალხი, ვინც სახელმწიფო სტრუქტურებშია დასაქმებული. ფუნქციას რაც შეეხება – ფაქტობრივად, ამ კომისიას მრჩევლის ფუნქცია აქვს. ჩვენი ამოცანაა, რეფორმები შემუშავდეს, მთავარი პრინციპები ჩაიდოს და დასაბუთდეს. მთლიანად ეს პროცესი უნდა იყოს დაცული და დასაბუთებული. კითხვები ექნება პარლამენტს, პრემიერ-მინისტრს. ფაქტობრივად, ოთხი რგოლია: პარლამენტი, პრემიერ-მინისტრი, სამინისტრო და ეს კომისია.

ანუ რეალურად ეს არის „სახელმწიფო“ თუ „სახელმწიფოსთან არსებული“ კომისია?

სახელმწიფო კომისია სწორად ჰქვია, რადგან ინიციატივა სახელმწიფოსგან მოდის. სახელმწიფოს ვემსახურებით. მაგრამ არ ვართ სახელმწიფო სტრუქტურა. დამოუკიდებელი სტრუქტურაა.

რა თქმა უნდა, ჩვენი მუშაობა პრემიერ-მინისტრთან მჭიდრო კავშირში უნდა იყოს, რადგან რასაც შევქმნით, იმას საკანონმდებლო ბაზა დასჭირდება. სანამ პარლამენტი არ დაამტკიცებს, სამინისტრო ცვლილებებს ვერ გაატარებს. პრემიერ-მინისტრმა უნდა იშუამდგომლოს პარლამენტთან და, როგორც არის რეფორმების შემუშავების მექანიზმი, ისე წარიმართოს.

ამ პროცესში მნიშვნელოვანი ორი საკითხია: პირველი, ამოსავალი და საბაზისო – ის პრინციპები უნდა ჩაიდოს, რაც დემოკრატიულ სისტემასთან წონასწორობაში მყოფი საგანმანათლებლო სისტემისთვის აუცილებელია, მეორე საკითხი – გადასვლის პერიოდია. ყველაზე რთული ეს იქნება. თვითონ პრინციპები და პროექტი ხვალვე შეგვიძლია წარვადგინოთ, ველოსიპედის გამოგონება არ გვჭირდება. ყველაფერი ცნობილია, ვიცით, როგორ მუშაობს, გამოცდილება გვაქვს. ყველაზე რთულია, ეს დავნერგოთ საქართველოში, რომელიც დემოკრატიისკენ, იმედია, ახლა წავა, მერე ეკონომიკურად გაძლიერდება და ა.შ. ახლა გარდამავალი პერიოდია. ეს სამინისტროსთან კონსულტაციების და მუშაობის გარეშე ვერ გამოვა, უამრავი ნიუანსია. აუცილებლად სამინისტროსთან ერთად უნდა გაკეთდეს.

თქვენი აზრით, ამ გადასვლის პერიოდს რა დრო დასჭრდება?

წინასწარ ვერ ვიტყვი, არ ვიცი. ამისთვის მონაცემებია საჭირო.

პროცესი ასე მესახება: მას მერე, რაც ჩვენ პროექტს წარვუდგენთ პრემიერ-მინისტრს და სამინისტროს, მათ უნდა აგვიხსნან, რა პარამეტრებით შეუძლიათ ამ პროექტში ასახული სისტემა დააკმაყოფილონ და ამაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწრაფად გავივლით გარდამავალ პერიოდს. ძნელია ერთი ხელის მოსმით თქვა, რომ დავწერთ და ერთ თვეში იფუნქციონირებს. ეს მონაცემები ჩვენ კი არა, მთავრობასაც არ აქვს, ახლა მიდის იმის შესწავლა, რა მდგომარეობაშია საერთოდ ქვეყნის ეკონომიკა.

რამდენად გავლენიანი იქნება კომისიის მოსაზრებები და გადაწყვეტილებები?

თანამშრომლობას იმიტომ დავთანხმდი, სხვათა შორის, დიდი ენთუზიაზმით, რომ ვხედავ, ცვლილებების რეალური შანსი არის. ჩანს, ახალ მთავრობას, ივანიშვილის გუნდს ეს ცვლილებები რეალურად უნდა და სურთ, ქვეყანა დემოკრატიისკენ წაიყვანონ, თან რაც შეიძლება – სწრაფად. ამაზეა კომისიის გავლენიანობა დამოკიდებული.

→ 4

აქტუალური თემა

კონცეფცია – აკადემიური თავისუფლება

მე-3 გვერდიდან

გავლენა რომ გვერდით გადავდოთ, ამ კომისიას სხვა მიზანიც აქვს: არსებობს საგანმანათლებლო სისტემის კონცეფციები, რომლებიც საქართველოში არასდროს გაცხადებულა. უბრალოდ ნაფიქრიც კი არ არის ამ მიმართულებით. ვიღაცას ალბათ უფიქრია, მაგრამ სტრუქტურულად – არ არის ნაფიქრი. მთავარი ამოსავალი რაც არის – აკადემიური თავისუფლების ცნება – საქართველოში ეს კონცეფციაც არ არსებობს. არის სხვა კონცეფციებიც, რომლებიც არ მსმენია, რომ საქართველოში განხილულიყოს. ჩვენ მიერ შეთავაზებული პროექტები უკვე ინფორმაციულად არის სასარგებლო. ჩვენს აზრს დაიჯერებენ თუ არა, ცალკე ამბავია, მაგრამ უკვე ის, რომ რაღაცას მოისმენენ ჩვენგან, რაც მერე შეიძლება გაითვალისწინონ, უკვე სასარგებლოა.

როდის დაიწყებს კომისია მუშაობას?

კომისია უკვე მუშაობს. არ არის აუცილებელი, ყველა წევრი იყოს შეკრებილი. განსაკუთრებულ რეჟიმში გვიწევს მუშაობა. საუბრები უკვე მიდის. თანდათან შემოგვიერთდება ხალხი.

საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერებიც არიან ჩართული? რა არის კრიტერიუმები ამ კომისიის წევრობის?

იმის გამო, რომ ამ კომისიის ფუნქცია რჩევების მიცემაა, ჯერჯერობით, კრიტერიუმების მკვეთრი ჩარჩო არ გადაგვიწყვეტია. მაგალითად, ჩვენ გვყავს უამრავი კოლეგა და ძალიან წარმატრებული მეცნიერი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომელთა რჩევების იმედი გვაქვს. ასეთი კომიტეტები ძალიან მიღებულია და როდესაც გვჭირდება ერთმანეთის დახამარება და რჩევა, ამას ყოველთვის ვცდილობთ. უცხოელმა კოლეგებმა, მთავარია, აზრი მოგვაწოდონ, კომისიის ფორმალური წევრობის აუცილებლობა პრინციპული არ არის. ასეთი რეფერები გვეყოლება მსოფლიოს ბევრი წამყვანი უნივერსიტეტიდან (სტენფორდის უნივერსიტეტი, ნიუ იორკის უნივერსიტეტი, გერმანიის უნივერსიტეტები და ა. შ.), რომლებთანაც არაფორმალური კონსულტაციები გვექნება.

განათლების სისტემის ყველა სფეროზე იმუშავებს ეს კომისია თუ კონცენტრირდება უმაღლეს განათლებასა და მეცნიერებაზე?

ყველა სფეროში ვიმუშავებთ. ყველა სფეროს სჭირდება მიხედვა და რეფორმა. ამ ეტაპზე კომისიის ძირითადი მიზანია, ეს ამოსავალი პრინციპები ჩაიდოს. დემოკრატიული სისტემის თვისებაა, ამოსავალ პრინციპებს თუ ჩადებ, მერე ის თავის თავს წმენდს.

კონკრეტულად რა ახალი კონცეფციების დანერგვაზე საუბრობთ? დავიწყოთ, „აკადემიური თავისუფლების“ ცნებით, რომელიც არაერთხელ აღნიშნეთ. რას გულისხმობს და რა ნაბიჯები მოიაზრება?

თანამედროვე განათლების და განსაკუთრებით, საუნივერესიტეტო განათლების სისტემის ამოსავალი წერტილი აკადემიური თავისუფლებაა. ერთი მხრივ, ეს ნიშნავს ხარისხის კონტროლს ძალიან მაღალ დონეზე და, მეორე მხრივ იმას, რომ პროფესორი და მასწავლებელი დისკრიმინაციისგან დაცულია. არანაირი პოლიტიკური სტრუქტურა არ უნდა ჩაერიოს მათი სწავლების და მათი კვლევის თავისუფლებაში. რა თქმა უნდა, თავისუფლება კანონიერ და ეთიკურ ჩარჩოებში იგულისხმება. იმისთვის, რომ აკადემიური თავისუფლება იყოს დაცული – აუცილებელი პირობაა, პროფესორს და მასწავლებლებს ჰქონდეთ დაცულობის და სტაბილურობის შეგრძნება, რომ მათი ბედი და ხვალინდელი დღე არ არის ცაში გამოკიდული და რაღაც გაურკვეველი პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტი, რომელმაც შეიძლება პოლიტიკური, რელიგიური ან სხვა მოსაზრებით ისარგებლოს და ამაზე იყოს დამოკიდებული კონტრაქტის გაგრძელება. ჯერ ერთი, ამ დაცულობის გარეშე პროფესორი და მასწავლებელი სტრესშია, – იმაზე იფიქროს, რომ ორი წლის შემდეგ, შეიძლება, კონტრაქტი აღარ გაუგრძელონ, თუ იმაზე, რომ პროფესიონალიზმი და თავისუფალი აზროვნების უნარი ჩაუნერგოს სტუდენტებს და ამას მოახმაროს დრო?

დაცულობა სახელმწიფოსგან უნდა იყოს გარანტირებული და ისეთ გარდამავალ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა, კანონმდებლობით. რა მექანიზმებია ამ გარანტიის? არსებობს ე.წ. „ტენუარის (tenure) ინსტიტუტი“ – ეს ნიშნავს, რომ გარკვეული დროის შემდეგ პროფესორის თანამდებობა მუდმივი ხდება. ამ დროზე მოლაპარაკება შეიძლება.

ასეთ სისტემაში საწყისი პოზიცია არის ასისტენტ პროფესორი (და არა პროფესორის ასისტენტი). ასეთ თანამდებობას, როგორც წესი, აქვს საცდელი ვადა, მაგალითად, 5 წელი. მერე მისი სტატუსის გადახედვა ხდება უფროსი კოლეგა-პროფესორების მიერ. ამისთვის იქმნება აბსოლუტურად მიუკერძოებელი კომიტეტი, რომელიც გარეშე რეფერირებაზე, დაყრდნობით შეაჯამებს მეცნიერის მიღწევებს და მის შესაბამისობას ტენუირებულ პროფესორობაზე გადასვლასთან. ამას ჰქვია „tenure track“ – ტენუარის გზა. ვარიაციები არსებობს – ზოგ უნივერსიტეტს, მაგალითად, ასისტენტ პროფესორის შემდეგ აქვს დროებითი ვადით ასოცირებული პროფესორის რანგი და მერე გადადის სრულზე. ზოგ უნივერსიტეტში ასოცირებულს აქვს უკვე „ტენუარის“ სტატუსი. „მუდმივი პროფესორი“ ნიშნავს იმას, რომ მისი პოზიცია ხდება მუდმივი. ეს ვადა ზემოდან იჭრება იმის მიხედვით, ქვეყანას გააჩნია საპენსიო ასაკი თუ არა. ამერიკაში, მაგალითად, პროფესორს უფლება აქვს იქამდე იმუშაოს, სანამ შეუძლია.

თქვენი აზრით, რომელი პრაქტიკა სჯობს – მუდმივი პროფესორობა თუ საპენსიო ასაკით ამ დროის შემცირება?

გააჩნია ქვეყნის სპეციფიკას და კომპენსაციის მექანიზმებს. როდესაც ხარისხის კონტროლი მაღალია, იქ ჯობია, არ იყოს ზღვარი, რადგან ზღვარი ზოგ ქვეყანაში არის 65-68 წელი. თანამედროვე პრაქტიკა აჩვენებს, რომ 65 წელი, შეიძლება შემოქმედებითი პიკი არ არის, მაგრამ ბევრისთვის ნაყოფიერი ხანაა. ამ ასაკში პროფესორების უმეტესობა კარგ ფორმაშია და წარმატებით ახორციელებს კვლევებს. თუ ადამიანს აქვს მოღვაწეობის ენერგია და სურვილი, 65 წლის ადამიანის პენსიაში გაშვება დანაკარგია.

საქართველოს კონტექსტში თუ განგიხილავთ – ჩვენთან რამდენად იმუშავებს ეს პრაქტიკა?

ეს კარგი კითხვაა. ზოგადად, სადაც ზედა ზღვარი არ არის, რა თქმა უნდა, პროფესორები მაინც გადიან პენსიაში, რადგან პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ. რადგან ძალიან მაღალი ხარისხის ადგილზე ვლაპარაკობთ, ეს ხალხი იმდენად პროფესიონალია, რომ ხვდება, როდის არის დრო, რომ გვერდზე გავიდეს და ახალ თაობას დაუთმოს გზა.

საქართვლოს ახლანდელ სისტემაში რა ხდება: სახელები იგივე ჰქვიათ: „ასისტენტ პროფესერი“, „ასოცირებული“, „სრული“, მაგრამ შინაარსთან შესაბამისობაში ეს სახელები არ არის. ყველა რამდენიმეწლიან კონტრაქტზეა, ახლა, მგონი, ცოტა მოუმატეს წლები. სამწლიანი კონტრაქტი იყო. სრული პროფესორი სამწლიან კონტრაქტზე – ასეთი ცნება არ არსებობს, მთელი იდეა ისაა, რომ სრული პროფესორი ზუსტად ის პირია, რომელიც დააფასა ფაკულტეტმა და მუდმივი კონტრტაქტი მისცა.

მოკლევადიანი კონტრაქტი, ერთი მხრივ, ასევე ხარისხის კონტროლად არ მოიაზრება? – იგულისხმება, რომ მოდუნების საშუალებას არ აძლევ პროფესორს, მასწავლებელს...

ამით ხარისხს კი არ გააკონტროლებ, გააუარესებ. მოვიყვანოთ მაგალითი: ვთქვათ, მოცემულ უნივერსიტეტს ხარისხის ამაღლების მიზნით სურს, მოიზიდოს პროფესორი სამწლიან პოზიციაზე. რომელი პროფესორი დატოვებს პოზიციას, რომელიც არის მუდმივი და გადმოვა სამწლიან ხელშეკრულებიან კონკურსში სამონაწილეოდ პოზიციაზე, რომლის შემდეგაც საერთოდ არ იცის, რა ბედი ელის? აბსურდია. ეს პოზიცია კონკურენციას დამწყებ პოსტდოქტორანტებსაც ვერ გაუწევს. ადამიანი, რომელიც არის პოსტდოქტორანტი, თუნდაც სამწლიან კვლევით პოზიციაზე წამყვან უნივერსიტეტში, შემდეგში პერსპექტივით, არ დატოვებს ამ პოზიციას და თუნდაც სრულ პროფესორად არ წამოვა საქართველოში 3 წლით და გაურკვეველი მომავლით. ამით ხარისხი ძირს დაეცემა.

ხარისხის კონტროლის კიდევ რა მექანიზმები შეიძლება დაინერგოს?

მსოფლიოს წამყვან აკადემიურ სისტემებში ამას მაღალი ხარისხის პროფესურა განსაზღვრავს. თუ დეპარტამენტს დააკომპლექტებთ მე-2 ხარისხის პროფესორით, ის სამსახურში მიიღებს მე-3 ხარისხისას და ა.შ. მთავარია, თავიდან მოახერხო, რომ დაინტერესო და მოიზიდო მაღალი ხარისხის პროფესორები. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს რამდენიმე ფაქტორის კომბინაციით, რომლებიც არის: კარგი პირობების შექმნით, პატრიოტული მოსაზრებით, ენთუზიაზმის ხარჯზე და მეცნიერული კვლევებისთვის ასპარეზის მიცემით. აუცილებელია, რომ მოიზიდო საწყისი პირველხარისხოვანი კონტინგენტი, შემდეგ ის გააკონტროლებს დანარჩენს.

ასეთი რესურსი რამდენად არის საქართველოში?

ადვილი არ არის, მაგრამ ამ ამოცანის გადაჭრის გარეშე არაფერი არ გამოვა. ამის შესრულების გარეშე ქვეყანა ვერ შედგება. ის ქვეყანა, სადაც განათლების სისტემა არ არის, ვერ იარსებებს. რადგან ეს ქვეყნის მთავარი პრიორიტეტია, რესურსი უნდა გამოინახოს.

მოიაზრებთ საზღვარაგრეთ მყოფი პროფესორების დაბრუნებასაც?

საქართველოში მაღალი ხარისხის პროფესიონალების კონტინგენტია. უნდა იყოს ხელშეწყობა, რომ უცხოეთიდან იყოს შეთავსებით, ნაწილობრივი კონტრაქტები... გლობალიზაცია ამას უწყობს ხელს. განათლების სისტემა ძალიან გლობალური ხდება. არის მექანიზმები, რომ ადამიანმა, რომელიც უცხოეთის სხვა უნივერსიტეტში მოღვაწეობს, წელიწადში რამდენიმე თვე თავის ქვეყანაში გაატაროს და რეგულარულად იკითხოს ლექციები.

ბევრი უცხოეთში მოღვაწე პროფესორი რეგულარულ თანამშრომლობაზე წამსვლელია და, სხვათა შორის, ასეთ წინადადებებს უდიდესი გაგებით ეკიდებიან წამყვან უნივერსიტეტებში: ყველა თვლის, რომ ძალიან კარგია შენ ქვეყანას დაეხმარო. ეს ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. მაგრამ მაინც მთავარი ადგილობრივი კონტინგენტის შექმნაა. ადგილობრივი პროფესურა უნივერსიტეტის მთელი ჩონჩხია. დროებით მოწვეული კონტინგენტის ხარჯზე უნივერსიტეტი ვერ იმუშავევებს.

მაგალითად, იმ პროფესორებს, ვინც ჯერ გაუშვეს და მერე მიიღეს დროებითი კონტრაქტებით, შეიძლება კვლევის საშუალებები არ ჰქონდათ, მაგრამ ყველა საშუალება აქვთ, რომ სტუდენტი ბაკალავრამდე მოამზადონ.

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში დღევანდელი პროფესურის თუ მასწავლებლების ნაწილი შეიძლება კვალიფიციურია, მაგრამ იმის გამო, რომ მიჩვეულია ცენტრალიზებულ, ან საბჭოთა სისტემაში მუშაობას და სხვაგვარ სტანდარტებს, თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ ან აღარ ერგებიან. თქვენი აზრით, არის ეს დღევანდელი აკადემიური პერსონალის ერთ-ერთი პრობლემა?

ეგ სისულელეა. პრობლემა ის კი არ არის, ადამიანი რა გარემოში გაიზარდა, პრობლემაა ხარისხი. იმ სისტემაში გაზრდილი უფროსი თაობის ბევრი ადამიანი ახლა მსოფლიოს წამყვან ცენტრებში პროფესორია. რა თქმა უნდა, სისტემა თავისებურ დაღს ასვამს, მაგრამ ეს არ არის მთავარი ფაქტორი. რას ჰქვია, სისტემას ვერ მოერგო, მერე კიდევ, რომელ სისტემაზეა ლაპარაკი, დღევანდელზე, რომელიც ძველზე უარესია?

რა ხარისხით უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს ავტონომია და რექტორი არჩევით უნდა იყოს თუ უნდა დანიშნონ?

ეს „ტენუარის ინსტიტუტი“ და აკადემიური თავისუფლების კონცეფცია ფაქტობრივად ავტომატურად გაძლევს სურათს, სადაც უნივერსიტეტის მთავარი ხერხემალი პროფესურაა. მთავარი მმართველი ორგანო არის მათი კრება. უნივერსიტეტი დაყოფილია ფაკულტეტებად, დეპარტემენტებად. თითოეულ დეპარტამენტში მთავარი ორგანო არის ფაკულტეტის კრება, სადაც გადაწყვეტილებები მიიღება დისკუსიების და კენჭისყრის შედეგად. შემდეგ ეს გადაწყვეტილება მიდის დეკანის ოფისში და, თუ საჭიროა, უნივერსიტეტის პრეზიდენტამდე. ასეთი სისტემა ავტონომიას ავტომატურად ამყარებს. ავტონომია არის თვითმმართველობა.

თუ ასეთი სისტემა მუშაობს, რექტორების დანიშვნა-არდანიშვნა პრინციპული აღარაა. ავტომატურად, რექტორი პროფესურის სამსახურში დგას და მისი ფუნქციაა, პროფესორებს თანხა მოუპოვოს, სტიმული მისცეს... ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღება, რაღაც რატიფიკაციები არის საჭირო რექტორის მხრიდან, მაგრამ, ვინ აიყვანოს სამსახურში და ამგვარი ფუნქციები რექტორს მოხსნილი აქვს.

ოპტიმალური იქნებოდა, რომ უნივერსიტეტს ჰყავდეს ასეთი ორგანო „Trusties” – რწმუნებულები, რომელიც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. რაღაც გაგებით უმაღლესი ძალაუფლების მქონე ორგანოა. ეს საბჭო ყოველდღიურ საკითხებს არ წყვეტს, განსაკუთრებული საქმე თუ არის, მაგალითად, წარმოიშვა კონფლიქტი ვიღაცის სამსახურიდან დათხოვნაზე, Board of Trusties მაშინ ერთვება. ასეთი საბჭოს არსებობა ალბათ აუცილებელია, მედიატორიც არის, დამცველიც და ა. შ.

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობების კავშირი მმართველ პარტიასთან დღემდე პრობლემად რჩებოდა ქართულ სისტემაში. არ არის გამორიცხული, რომ მომავალშიც იქნებიან სტუდენტები, ვისაც რომელიმე, ან მმართველ პარტიასთან კავშირის სურვილი გაუჩნდება, მმართველმა პარტიამ კი, შეიძლება, სტუდენტების გავლით უმაღლეს სასწავლებლებში საკუთარი გავლენის გამყარება სცადოს. რა მექანიზმით შეიძლება ამ პროცესის თავიდან აცილება?

ყოველთვის არსებობს იმის საშიშროება, რომ უზურპაცია მოხდეს და დემოკრატიული სისტემა ისევ საშიშროების წინაშე დადგეს. აკადემიური თავისუფლების და ტენუარის ინსტიტუტის იდეა და ის, რომ პროფესიონალებს ექნებათ ძალაუფლება და რომ მთავარი უნივერსიტეტში არის ფაკულტეტის სხდომა, დამცავი მექანიზმებია ამ რისკის წინააღმდეგ. თუ რომელიმე სტუდენტს უნდა, რომ იყოს პარტიასთან ასოცირებული, ეს მისი უფლებაა და არ არის პრობლემა.

პარტიული ხაზის უნივერსიტეტში გატარება კი შეუთავსებელია. უნივერსიტეტი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი პარტიული, რელიგიური ან სხვა ტიპის გავლენისგან. სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს სეკულარული.

ერთი მხარის აზრით, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასური არის ძალიან მაღალი, საპირისპირო მოსაზრებით – უფრო მეტი უნდა იყოს. თქვენ რა გეგმები გაქვთ საფასურთან დაკავშირებით?

აქ ერთი მთავარი პრინციპია გასატარებელი. ნებისმიერ ბავშვს, ვისაც სწავლა უნდა, ამის შანსი უნდა მიეცეს. პრინციპი მარტივია, გატარება – რთული. ამის გადაჭრა შეიძლება სხვადასხვა მეთოდებით. შეგიძლია თქვა, რომ როგორც სოციალისტურ სისტემაში, სწავლა უფასოა ყველასთვის, ან რაღაც პატარა თანხაზეა ლაპარაკი. თუ ასეთი ვარიანტი წავიდა, განსაკუთრებით აუცილებელია ხარისხის კონტროლი.

მეორე ვარინატი არის ის, რომ სისტემა იყოს უფრო მოქნილი, ანუ სახელმწიფო იღებს თავის თავზე დაფინანსებას და ღარიბი ოჯახებიდან წამოსულ ბავშვს ისეთივე შანსი აქვს განათლება მიიღოს, როგორც შეძლებული ოჯახებიდან.

ანუ უფასო უნდა იყოს უმაღლესი განათლება?

ეგ სქემა გადაჯაჭვულია ეკონომიკურ სიტუაციასთან. საქართველოს უსასრულო რესურსი რომ ჰქონდეს, შეიძლება, მაგრამ რეალობაში, სისტემა უნდა იყოს უფრო მოქნილი იმის მიხედვით, როგორი შემოსავლის მქონე ოჯახიდან მოდის ბავშვი. შესაბამისად, აქედან უნდა გამოიყვანო გადასახადი. ამავე დროს, რა თქმა უნდა, ბავშვმა სტანდარტები უნდა დააკმაყოფილოს.

სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლის საფასური უნდა იყოს გაცილებით ნაკლები, ანუ რაღაც სტანდარტს არ უნდა აღემატებოდეს. როცა რაღაცას ვიხდით, შესაბამისად, ეს უნდა უბრუნდებოდეს მოქალაქეს. კერძო უნივერსიტეტებში უკვე სხვა სიტუაციაა, მაგრამ მათაც აქვთ იმის მოქნილობა, რომ დააფინანსონ ღარიბი ოჯახიდან წამოსული ბავშვები – მაგალითად, სტიპენდიები მისცენ.

აქტუალური თემა

მისაღებ გამოცდებსა და მათ ცვლილებებზე დიდი ვნებათაღელვაა. არსებობს სხვადასხვანაირი სისტემა, გამოსაშვები, მისაღები ტესტირებების, გამოცდების, უგამოცდოდ მიღების და ა.შ. კომისია რომელ ვარიანტს განიხილავს?

ამ საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო. ამ საკითხს უფრო დეტალურად სჭირდება ჩახედვა. მისაღები გამოცდების სტანდარტიზაცია თავისთვად კარგ ფუნქციას ასრულებს იმ მხრივ, რომ ადგილობრივ კორუფციის წინააღმდეგ არის მიმართული. ეს მომენტი კარგია, მაგრამ მთავარი ეს არ არის. მისაღები გამოცდების იდეა ხომ საუკეთესოს შერჩევაა. მთავარია, რამდენად არჩევს მოცემული ტესტი საუკეთესოს. მოსაფიქრებელია, უნდა გავითვალისწინოთ თუ არა სხვა ფაქტორებიც – ოლიმპიადებში გამარჯვებები, სკოლის მოსწრება – უფრო კომპლექსური ინფორმაცია რომ იყოს ბავშვზე და არა მაინცდამაინც, ერთი გამოცდით გადაწყდეს მისი ბედი.

სხვა სფეროებში რა ახალი კონცეფციების დანერგვაზე ფიქრობთ, მაგალითად ზოგად განათლებაში?

ზოგადი განათლება უფრო მეტადა დაკავშირებულია ტექნიკურ საკითხებთან. თუ შეგიძლია რაღაც ძალებით შექმნა ერთი-ორი ელიტარული უნივერსიტეტი, ზოგადი განათლება გაცილებით უფერო მასობრივია. ტექნიკური მომენტები უფრო მეტია იქ, თუ როგორ განვითარდება, თორემ კონცეფცია იგივეა – აკადემიური თავისუფლება მასწავლებელსაც უნდა ჰქონდეს.

როგორ შეაფასებთ ზოგადად საქართველოში მეცნიერების, კვლევითი ინსტიტუტების ფუნქციონირებას და მათ მდგომარეობას?

ერთი სიტყვით, მთლიანად შეფასება ძნელია, რადგან არერთგვაროვნებას აქვს ადგილი. ეს სისტემა შესაბამისობაშია არადემოკრატიული ქვეყნის პოლიტიკურ სისტემასთან, ამიტომაც – ბევრი ხარვეზია. კონკრეტულად ბევრ რამეზე შეიძლება საუბარი. მაგალითად, რატომღაც გამიგია მოსაზრება, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, მეცნიერება ყოველთვის უნივერსიტეტთანაა მიბმული. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი, რომელსაც სადოქტორო პროგრამა აქვს, კვლევის ცენტრია. მაგრამ არსებობს კვლევითი ცენტრებიც, რომლებიც უნივერსიტეტებთან არ არის მიბმული: ნაციონალური ლაბორატორიები, Advanced Studies ინსტიტუტები და ა.შ. მე წინააღმდეგი ვიყავი რომ, ერთი ხელის მოსმით, ყველა კვლევითი ინსტიტუტი, განურჩევლად წარმატებისა და ისტორიისა, ასევე განურჩევლად მიეერთებინათ უნივერსიტეტებისთვის. დარწმუნებული ვარ, ანალოგიური სიტუაცია იყო ბევრ ინსტიტუტში, მაგრამ მაგალითად ფიზიკის ინსტიტუტს მოვიყვან: გადახედეთ, ფიზიკის ინსტიტუტიდან რამდენი კადრია დღეს მსოფლიოს წამყვან ცენტრებში დასაქმებული, ძალიან დიდ კოეფიციენტს მიიღებთ. ეს ხომ ობიექტური მაჩვენებელია. ეს გვეუბნება, რომ არსებობს ბრენდი, რომელსაც მსოფლიოში იცნობენ და ეს მაჩვენებელი მის მაღალ ხარისხს ნიშნავს.

დაფინანსება როცა შეწყდა, ფიზიკის ინსტიტუტი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ მარტო შენობა ხომ არ არის. ინსტიტუტში იგულისხმება ხალხიც. სახელის შექმნა ხომ ძალიან ძნელია. ამას სჭირდება ათეულობით წლები. ფიზიკის ინსტიტუტმა ეს სახელი მოიპოვა. ფიზიკის ინსტიტუტი შეუერთეს უნივერსიტეტს. მოსაზრება ხომ უნდა იყოს, რომელიც ამ შეერთებას დაასაბუთებს.

უმაღლეს სასწავლებელთან მიერთება კვლევითი ინსტიტუტების განვითარებას ხელს შეუშლის?

გაერთიანების იდეა შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც. მაგრამ მაინტერესებს, რა მიზეზით მოხდა, მე რეალურ მიზეზს ვერ ვხედავ. მიერთებისას ინსტიტუტი ავტონომიას კარგავს. მას აქვს სპეციფიკური ტრადიციები, კვლევის ისტორია. ასეთმა მექანიკურმა მიერთებამ ყოველგვარი წინასწარი გააზრების და პროექტების გარეშე, რა უნდა გაუმჯობესოს? ავტონომიის დაკარგვის შედეგი, ჯერ ერთი, არის ის, რომ მკვლევარებს სტრესში და გაურკვევლობაში აყენებს.

მერე იბადება კითხვები? რატომ, შენობის გაყიდვა უნდათ და ა შ. დადებითი ის იქნებოდა, თუ ვიტყვით, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტი გაცილებით დიდია და უნივერსიტეტი დააფინანსებს კვლევებს. ასეთ შემთხვევაში შეერთებას აზრი აქვს. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ გაცილებით უფრო მეტი მოლაპარაკების შემდეგ უნდა გადაწყდეს?

შეერთების ერთ-ერთი მიზეზი კვლევითი ცენტრებისთვის რესურსების ნაკლებობა არ არის?

მესმის, რომ რესურსები არ არის. ჯერ ერთი, იქაც შეიძლება კამათი, ის რესურსი შადრევანზე სჯობს დახარჯო თუ ასეთ პროგრამებზე. ბევრი რესურსი, რაც ჰაერში გაფრინდა, შეიძლებოდა სხვა რამეს მოხმარებოდა, მაგრამ ამას დავანებოთ თავი. გეთანხმებით, რომ ეკონომიკური სიტუაცია რთულია. პრობლემაა, რომ ეს მოხდა მეცნიერებთან შეუთანხმებლად, პირიქით – მათი სურვილის წინააღმდეგ. მე მაგალითად, განვაცხადე კიდეც ინტერვიუში, რომ სწორი კონცეფცია იქნებოდა ფუნდამენტური კვლევების ნაციონალური ცენტრის შექმნა.

ჩემი ხედვა არის ასეთი: ნებისმიერი ასეთი ტიპის გადაწყვეტილების შემთხვევაში მეცნიერები უნდა იყვნენ ჩართულები. უნდა შეიკრიბოს სამეცნიერო საბჭო, ფიზიკის ინსტიტუტიდან და უნივერსიტეტიდან და მოიფიქრონ, რით შეიძლება ფიზიკის ინსტიტუტს დავეხმაროთ. ჩემი კონცეფცია იყო ის, რომ ფიზიკის ინსტიტუტს აქვს საშუალება (საქართველოს ეკონომიკურად რთული სიტუაციის შესაძლებლობებში), რომ მის საფუძველზე შეიქმნას თანამედროვე ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ტიპის ინსტიტუტი. ეს ამ ინსტიტუტის ძალიან ბუნებრივი განვითარება იქნებოდა, რადგან ასეთი ტიპის ცენტრები ყველა ქვეყანაშია.

> პარტიული ხაზის უნივერსიტეტში გატარება შეუთავსებელია. უნივერსიტეტი თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი პარტიული, რელიგიური ან სხვა ტიპის გავლენისგან. სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს სეკულარული.

როგორ უნდა შეეწყოს ხელი კვლევითი ცენტრების და მეცნიერების განვითარებას საქართველოში, დღევანდელი ეკონომიკური სიტუაციის პირობებში?

მეცნიერება უნდა გახდეს პრიორიტეტი. საერთოდ მარტო მეცნიერება კი არა, კვლევები, განათლება, მათ შორის, ჰუმანიტარულიც. ეს არის ისეთი ინვესტიცია, რომლის ფულადი გაზომვა შეუძლებელია. ეს არის ყველაზე დიდი ინვესტიცია, რაც შეიძლება ქვეყანამ გააკეთოს. ფულის ჩადება განათლებასა და კვლევაში ასმაგად და ათასმაგად გიბრუნდება. ეს ინვესტიცია იმიტომაც არის ასეთი ფაქიზი, რომ იმ მომენტში ვერ ხედავ. ამას დებ შვილების ინტელექტში და მომავალში. რაც უფრო მეტი ინტელექტუალი ეყოლება ქვეყანას, მით უფრო წარმატებული იქნება. პოლიტიკურადაც, როცა მეტი მოაზროვნე ჰყავს ქვეყანას, შეუძლებელია მისი მოქალაქეები გააბრიყვო, პროპაგანდით ტვინი გამოურეცხო. თავისუფალი აზროვნება და ინტელექტი თვითდაცვის მექანიზმი და დემოკრატიის გარანტია. ევროპაში არსებობს უზარმაზარი გრანტების სისტემა. როცა კვლევის დონეს გავზრდით, უნდა მოხდეს ევროპასთან მოლაპარაკება. ამ გრანტების ბაზარზე შეიძლება გასვლა, რომ დაფინანსება გარედან შემოვიდეს. მაგრამ ხალხი ხომ უნდა მოამზადო, ვინც მერე ამ გრანტს მოიგებს, ეს ვერ იქნება, თუ თავიდან სისტემაში ფული არ ჩადე. უსუსური ლაპარაკია, რომ მეცნიერებას ფული არ აქვს. თუ ქვეყანა ხარ, ეს უნდა იყოს პრიორიტეტი.

ბოლო პერიოდში სახელმწიფომ შემოიღო ასეთი სტრატეგია: მეცნიერულ და ტექნიკურ მიმართულებებზე, ჰუმანიტარულთან შედარებით, გაზარდეს დაფინანსების მოპოვების შანსები. შედეგად უფრო მეტმა სტუდენტმა ჩააბარა ამ მიმართულებებზე, თუმცა, რეალურად, ბევრი, მაგალითად საბუნებისმეტყველო მიმართულებაზე უფრო დაფინანსების გამო სწავლობდა, ვიდრე მოტივაციით. ასევე, ვერ ხედავდნენ, სად დასაქმდებოდნენ დამთავრების შემდეგ, რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი დემოტივატორია. თქვენი აზრით, ამ ცვლილებით უნდა დაწყებულიყო მეცნიერების გაძლიერება, თუ ჯერ სამეცნიერო ბაზის შექმნით და ეს ავტომატურად მოიზიდავს სტუდენტებსაც?

ეს პარალელური პროცესია. სწორედ ამიტომ არის რეფორმა საჭირო. ახალი სისხლისა და იდეების ინექცია ყველა დონეზე უნდა მოხდეს. ასე, ერთი სფეროდან რომ დავიწყოთ, ყოველთვის ჩაკეტილი წრე იქნება. რა თქმა უნდა, იქნებიან ბავშვები, ვინც იქ იმიტომ ჩააბარებენ, რომ ადვილად ხვდებიან. მაგრამ ხარისხის კონტროლიც უნდა გაზარდო. ამას ვერ გაზრდი, თუ შენ ხარისხიანი პროფესურა არ გყავს. შესაბამისად, ეს გადაჯაჭვულია პროფესორის ხარისხის გაზრდასთან, რომელსაც თავის მხრივ ვერ გაზრდი, თუ პროფესორი ორწლიან კონტრაქტზე 200 ლარად გყავს. ამიტომ ამ პრობლემის ფორსირებულად გადაჭრაა საჭირო ყველა დონეზე.

მეცნიერების რომელიმე სფერო უნდა იყოს თუ არა პრიორიტეტული?

ასე არ არის. რა თქმა უნდა, ის მიღწევები, რაც გვაქვს, ის სფეროები უნდა შევინარჩუნოთ. არის სფეროები, სადაც მსოფლიო სახელია მიღწეული. არ მინდა ვინმე გამომრჩეს. ფიზიკის ინსტიტუტი რომ ვახსენეთ, იქიდან ბევრი მეცნიერია წასული CERN-ში. ასეთივე მიმართულებაა ბიოლოგიაში, მედიცინის დარგში. ზეზვაზე და მზიაზე აღარ ვლაპარაკობ, უდიდესი მნიშვნელობის ადგილობრივი აღმოჩენაა. აშკარაა, რომ ეს ანთროპოლოგიის სკოლის დიდი წარმატებაა. მიღწევები უნდა შევინარჩუნოთ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ რაღაც დარგში მიღწევა არ გვქონდა, არ უნდა გავაძლიეროთ. ჰუმანიტარულ დარგებს უნდა მიენიჭოს ასევე მნიშვნელობა, რადგან ჰუმანიტარულის სწორად სწავლება თავისუფალი აზროვნების გარანტიაა. ამ დარგებმა პირდაპირ უნდა ითამაშონ გადამწყვეტი როლი ბავშვებში დემოკრატიული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

ჰუმანიტარული მიმართულებები მაინც უფრო პოპულარულია საქართველოში. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება სკოლაშივე იყოს და იმ მეთოდებში, როგორც იქ ასწავლიდნენ. რა მეთოდებით უნდა მოხდეს სკოლაში მოსწავლის მეცნიერებით და საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესება?

ზოგად განათლებაში მეცნიერების პოპულარიზაციის ცნობილი მექანიზმები არსებობს. ჯერ ერთი, მასწავლებელი უნდა მოვამზადოთ, მეორეც, მასწავლებლის პოზიცია უნდა გახდეს პრესტიჟული და სტაბილური. შეიძლება, მასწავლებელს იმდენი ხელფასი ვერ მისცე, როგორც სხვას, მაგრამ ეს უნდა დააკომპენსირო, მაგალითად, სტაბილურობით, ჯანდაცვით. ამავე დროს, მასწავლებლის სტატუსი უნდა ამაღლდეს. ეს გამოიწვევს მასწავლებლებად ნიჭიერი კადრების მოსვლას. ამავდროულად, უნდა იყოს პროგრამები მასწავლებლების გადამზადებაზე, მოტივირებაზე. მაგალითად, მე CERN-ში ნოემბერში კიდევ ერთხელ მომიწევს ქართველ პედაგოგებთან შეხვედრა. ვერ წარმოიდგენთ, მათთვის ეს რა დიდი სტიმულია. ფაქტობრივად, ხელი მსოფლიო მეცნიერების პულსზე აქვთ. დღეს იქ კაცობრიობის მეცნიერების ისტორია იქმნება. ჯერ კიდევ არ გვაქვს გააზრებული, რამხელა აღმოჩენასთან გვქონდა საქმე ცერნში ამ ზაფხულს. ეს სტიმული და ენთუზიაზმი ბავშვებსაც გადაედებათ. ასეთი პროგრამები არის გასაკეთებელი მეცნიერებაში, ბიოლოგიაში... დიდი ხელშეწყობა გვექნება უცხოეთიდან, გამოინახება თანხები და, რა თქმა უნდა, ადგილობრივმა მთავრობამაც უნდა დააფინანსოს. ეს პატარა რგოლია მთელ სისტემაში. უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს კომპლექსურად უნდა მოხდეს და შედეგი იქნება.

ნაწილობრივ უკვე განვიხილეთ, მაგრამ თქვენი აზრით, წინა ხელისუფლების მთავარი შეცდომა განათლების სისტემაში რა იყო?

ბოლო წლებში განათლების სისტემის მიზანი იყო ორნაირი: ერთი მხრივ, ყოფილიყო შესაბამისობაში არსებულ პოლიტიკურ სისტემასთან, მეორე მხრივ, თითქოს დასავლური დემოკრატიული სისტემური რეფორმირება გაეკეთებინა. თავი დავანებოთ იმას, თუ რამდენად კომპეტენტურად კეთდებოდა ეს რეფორმა. ეს ორი უბრალოდ შეუსაბამობაშია ერთმანეთთან. შეუძლებელია, რომ ერთი მხრივ, სისტემა მოერგოს იმ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას, რაც საქართველოში იყო და მეორე მხრივ – დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისი განათლების სისტემა გქოდნეს.

როგორი რეფორმის წამოწყებაა უფრო ეფექტური დღევადელ სიტუაციაში, გრძელვადიან შედეგებზე გათვლა თუ მოკლევადიანზე?

ქვეყანას ახლავე სჭირდება რეფორმების გატარება. ამ რეფორმის მოცდა არამიზანშეწონილია. პრინციპები ახლა უნდა ჩაიდოს და ამ პრინციპებზე თუ გადავედით, გრძელვადიანი კი არა, უსასრულო ვადიანი გამოვა, რადგან სულ უფრო და უფრო კარგ შედეგებს მოიტანს.

ახალი სისტემის დანერგვისა და განვითარებისას, რა რისკები იქნება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და გაკონტროლდეს?

რისკების მეტი რა არის, უამრავია, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში. ნებისმიერი სისტემის ბოროტად გამოყენება ყოველთვის შეიძლება. მაგალითად, უნივერსიტეტებში არის ხარისხის დაცემის რისკი. თუ შენ საწყისი კონტინგენტი არასწორად აირჩიე, ხარისხს ქვემოთ დასწევ. ყველაზე ფაქიზი მომენტი ეგ არის. ხარისხის თვითკონტროლის დამცავი მექანიზმია Board of Trusties.

ამის მსგავსი ორგანოები სკოლებშიც იყო – სამეურვეო საბჭოები. ასეთი ფორმით უნდა შენარჩუნდეს ზოგადი განათლების სისტემაშიც?

სკოლებსაც აქვთ ხოლმე მსგავსი მაგალითები. სახელები შეგვიძლია სხვადასხვა დავარქვათ. მაგრამ ეს ნამდვილად დამცავი მექანიზმი და ურთიერთკონტროლის სისტემაა.

განათლების მინისტრობის კანდიდატს თუ ელაპარაკეთ და რას ფიქრობთ?

მინისტრობის კანდიდატს ვესაუბრე, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაგვაცნო ერთმანეთი. ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. მგონი, ძირითადად, ერთნაირ ტალღაზე ვართ, რამდენადაც დრომ საშუალება მოგვცა, გამერკვია. თუმცა, ჩვენი კომისიის მთელი იდეაც ეგ არის, განსხვავებული აზრები იქნება და საბოლოოდ სისტემას დავხვეწთ.

განათლების სამინისტროს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში შეგეძლებათ ჩაერიოთ?

ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მოსაზრება ვუთხრათ, მაგრამ დემოკრატიის იდეა ისაა, რომ ძალაუფლების სფეროს გაყოფა ხდება. თუ გინდათ, ისე მოგვიაზრეთ, რომ ჩვენ ვართ ძალაუფლების ერთ-ერთ შტო, რომელსაც აბარია დამოუკიდებელი მრჩევლის როლი. აღმასრულებელი ძალაუფლება ჩვენ არ გვაქვს.

კომისიის ერთ-ერთ წევრი, დავით ზურაბიშვილი კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდება. ეს კომისიის პოლიტიზების საფრთხეს ხომ არ შექმნის?

ეს არ არის პრობლემა, ჩვენ ხომ არ ვართ აღმასრულებელი შტო. ასევე, რას ნიშნავს არაპოლიტიზებული? საქართველო დღეს ისეთ სიტუაციაშია, გინდა არ გინდა, ასეთი ტიპის კომისია პოლიტიკურ როლს თამაშობს. დემოკრატია პოლიტიკაა, აბა რა არის.

კონკრეტულ პარტიასთან ასოცირებაც არ იქნება პრობლემა?

პარტია სხვა რამეა. რა თქმა უნდა, არანაირ ერთ კონკრეტულ პარტიასთან კავშირი არ გვაქვს. ნებისმიერი პარტიის წარმომადგენელი, რომელიც იზიარებს დემოკრატიულ ღირებულებებს და აქვს კომპეტენცია ან ტექნიკური შესაძლებლობები, შეიძლება ჩვენთან იყოს და დაგვეხმაროს. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

რუსუდან ფანოზიშვილი
ჟურნალი „ლიბერალი“

აქტუალური თემა

სამართლიანი გადაწყვეტილებების მოლოდინში

დენის დავითაშვილი
პროფესიული განათლების პროფკავშირის თავმჯდომარე

ზუსტად ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გაზეთ „ახალ განათლებაში“ რამდენიმე მწვავე, კრიტიკული წერილი დაიბეჭდა განათლებისა და მეცნიერების მაშინდელი მინისტრის, დიმიტრი შაშკინის №700 ბრძანების საფუძველზე პროფესიული სწავლების ცენტრების ლიკვიდაციის გამო. მათ შორის ჩემი წერილებიც იყო. მაშინაც ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, ეს იყო გადაწყვეტილება (როგორც დირექტორებს უთხრეს – „პოლიტიკური გადაწყვეტილება“), რომელმაც დანგრევის პირას მიიყვანა მთელი სისტემა. არადა, ჯერ კიდევ 2006 წელს საქართველოს მთავრობამ სპეციალური დადგენილება მიიღო „პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“; 2008 წლის მთავრობის განკარგულებით კი, საქართველოს მასშტაბით, მინიმუმ, 50 პროფესიული მომზადება-გადამზადების ცენტრი უნდა შექმნილიყო ინვესტიციების მოზიდვის გზით; ქაღალდზე დარჩა ასევე მთავრობის მიერ მიღებული სახელმწიფო პროგრამა „პროფესიული განათლება დასაქმებისათვის“; ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენთვის სრულიად მისაღები იყო სახელმწიფოს მიდგომა დარგის შემდგომი განვითარებისთვის. მზად ვიყავით აქტიური მონაწილეობა მიგვეღო ყველა დოკუმენტის შემუშავებასა და რეალიზებაში. ამიტომაც იყო გაუგებარი და მოულოდნელიც კი ის, რაც 2010 წელს მოხდა. ჩვენ მთელი რიგი შენიშვნები გვქონდა საგანმანათლებლო პროგრამებთან და სტანდარტებთან, მათ დახვეწასა და პროფესიონალთა აზრის გათვალისწინებას, არსებული სასწავლებლების განახლებას, საცხოვრებელთან ახლოს ახლის აშენებას (როგორც ამას ევროკავშირი ითხოვს) მოვითხოვდით, საბოლოო ჯამში კი, 50-მდე ლიკვიდირებული პროფესიული განათლების კოლეჯი მივიღეთ, მათ შორის ბევრი საუკეთესო.

მცხეთა-მთიანეთი, მთელი რეგიონი, პროფესიული სასწავლებლის გარეშე დარჩა და, რაც მთავარია, შეიძლება, რომ აგრარულ ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროფესიული სასწავლებელი საერთოდ არ ჰქონდეს? რა იყო ამ უგუნური გადაწყვეტილების ნამდვილი მიზეზი ჩემთვის უცნობია, რადგან, მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთ დონეზე ვერ მოხერხდა შეხვედრა და საკითხის განხილვა. განათლების სამინისტროდან ჩემი შეკითხვის პასუხად მიღებულ ოფიციალურ წერილში კი ნათქვამია, რომ 2009-2010 წწ. სამინისტროს მიერ განხორციელდა პროფესიული განათლების სისტემის ეფექტიანობის კვლევა, რომლის საფუძველზეც მიღებულია ეს გადაწყვეტილებები. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არავითარი კვლევა ამ პერიოდში არ ჩატარებულა. ასევე ტყუილია არგუმენტად კოლეჯების ოპტიმიზაციის საკითხის მოტანა, რადგან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, 2006-2007 წლებში, ჩაატარა სასწავლებლების ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც 75 პროფესიული სასწავლებლის და ლიცეუმის რაოდენობა 38-მდე შემცირდა; სამწუხაროა, როცა განათლების სამინისტრომ არ იცის, რომ სასწავლო დაწესებულების ვერც ერთი სახეობა – უმაღლესი, საშუალო, პროფესიული ვერანაირად ვერ შეფასდება რენტაბელობის მიხედვით. არც მცირე კონტინგენტიანობა გამოდგება სასწავლებლის ლიკვიდაციის მიზეზად, რადგან ტერმინი „მცირეკონტინგენტიანი სასწავლებელი“ მოგონილია და მცდარი. არ არსებობს ნორმატივი, რომლითაც განსაზღვრული და დადგენილია, რამდენი სტუდენტი უნდა სწავლობდეს ამა თუ იმ კოლეჯში; ასევე ტყუილია იმის მტკიცება, რომ ამ სასწავლებლებში იყო ფინანსური დარღვევები, ყალბი განცხადებები, სასწავლებლების გაუმართაობა და ა.შ. ყველამ კარგად იცის, რომ რაიმე სახის დარღვევის აღმოჩენისას, უწყების ხელმძღვანელს კანონის შესაბამის პასუხს სთხოვენ, უწყებას ამისთვის არავინ აუქმებს. ეს მხოლოდ შაშკინმა მოახერხა, მაშინდელი მოადგილეებისა და ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ლალი ებანოიძის აქტიური მხარდაჭერით.

ამ ორი წლის განმავლობაში ყველას გვქონდა იმედი, ოდესმე მოგვეცემოდა ღიად ამ თემებზე საუბრის საშუალება. საბედნიეროდ, ეს შანსი გაჩნდა – შედგა ჩემი შეხვედრა ქალბატონ ქეთევან ნატრიაშვილთან, განათლების მინისტრის მოადგილესთან, რომელსაც გარკვეული გამოცდილება აქვს ამ საკითხში. ამიტომ ჩვენი საუბარი საქმიანად წარიმართა, კონკრეტული საკითხების შესახებ ჩემი მოსაზრებები გამოვთქვი და წინადადებებიც შევთავაზე. საუბრის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, 2010 წელს სრულიად უკანონოდ ლიკვიდირებული პროფესიული კოლეჯები იყო, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, გაირკვეს წინა წლებში ასევე უკანონოდ გაუქმებული საჩხერის, თიანეთისა და დუშეთის სასწავლებლების საკითხიც; ვფიქრობ, ასევე ვალდებულნი ვართ, დეტალურად შემოწმდეს რაში დაიხარჯა ევროკავშირის მიერ განათლების სამინისტროსთვის გამოყოფილი 19 მილიონი ევრო, რომელსაც სრულიად კონკრეტული დანიშნულება ჰქონდა; სერიოზულად შესასწავლია პროფესიული სტანდარტებისა და ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, რადგან ამ პროგრამების საფუძველზე გაცემული დიპლომი არათუ ევროსტანდარტის მოთხოვნებს არ შეესაბამება, შეიძლება ითქვას, რომ ფიქციაა.

მერვე მოწვევის პარლამენტში მალე დაიწყება მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია და ჩემი თხოვნაც ეს არის, რომ უახლოეს პერიოდში მოხერხდეს ჩვენი შეხვედრა ბატონ გიორგი მარგველაშვილთან. გვსურს, მინისტრს შევთავაზოთ სპეციალური კომისიის შექმნა პროფესიული განათლების პროფკავშირის მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის ლიკვიდირებული სასწავლებლების აღდგენის მიზანშეწონილობის საკითხს; ცალკე განხილვის საგანი იქნება ის სასწავლებლები, რომლებიც ასევე კანონდარღვევით გადაეცა ტექნიკურ და აგრარულ უნივერსიტეტებს; საერთოდ, არასწორად მიმაჩნია უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ერთი სიტყვით, პროფესიული განათლების სფერო დარგის სპეციალისტებისა და სამინისტროს ახალი გუნდისაგან დროული, სამართლიანი გადაწყვეტილებების მოლოდინშია. იმედი მაქვს, ეს თანამშრომლობა წარიმართება სოციალური პარტნიორობის პრინციპების დაცვით, საკითხების განხილვა კი ღია და საჯარო იქნება.

საქართველოს უნივერსიტეტები არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან

გიორგი ღავთაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

* * *

უპირველეს ყოვლისა, ვულოცავთ ბატონ გიორგი მარგველაშვილს ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დამტკიცებას და ვუსურვებთ წარმატებებს. პერიოდი, როდესაც ბატონ გიორგის უწევს მინისტრობა, საკმაოდ რთული, მაგრამ იმავდროულად საინტერესოა: შემდგომ მხარდაჭერას საჭიროებს დაწყებული წარმატებული პროექტები; გამოთქმულია რამდენიმე ინიციატივა, რომლებისგანაც სადღეისოდ განსაკუთრებით პრიორიტეტულები უნდა შეირჩეს; ამჟამად და მომავალშიც უნდა მოხდეს არსებული ხარვეზების გამოსწორება და ა.შ.

ხაზგასასმელია, რომ ბატონი მინისტრი წლების განმავლობაში თავად იყო რექტორი და ამიტომ, მისთვის კარგად იქნება ცნობილი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემისათვის და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის დამახასიათებელი ყველა საკითხი. ვფიქრობთ, აღნიშნული ერთობ გააადვილებს მასთან საუნივერსიტეტო პრობლემატიკის განხილვასა და ეტაპობრივ გადაჭრას.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს უნივერსიტეტები არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან. მათ შორის აღნიშვნის ღირსია: სასწავლო პროცესის აკადემიური უზრუნველყოფა, სწავლების ხარისხის შემდგომი ამაღლება, საერთაშორისო საგანამანათლებლო სივრცეში კიდევ უფრო მეტად ინტეგრირება, შრომის ანაზღაურების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება, სტუდენტური სერვისების განვითარება, საუნივერსიტეტო ცხოვრების გამჭვირვალობის შემდგომი ზრდა და სხვა მრავალი. თუმცა, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხი, რომლის გარკვევის მოლოდინშია, ალბათ, ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეს არის სახელმწიფოს მხრიდან უნივერსიტეტების (განსაკუთრებით სასწავლო პროცესის, მეცნიერული კვლევების, ინფრასტრუქტურული პროექტების) ფინანსური მხარდაჭერის პერსპექტივის საკითხი. აღნიშნულზე ბევრად არის დამოკიდებული ყველა იმ პრობლემის გადაჭრა, რომელთაც აწყდებიან თანამედროვე უნივერსიტეტები საქართველოში.

* * *

სამინისტროსა და უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობა მრავალწახნაგოვანი და დინამიკური პროცესია. სახელმწიფოს განვითარების ცალკეულ ეტაპზე, პერიოდულად, იკვეთება ახალი გამოწვევები, რომლებზეც დროული და ადეკვატური პასუხი ბევრადაა დამოკიდებული სამინისტროსა და უსდ-ების ურთიერთშეთანხმებულ ქმედებაზე.

ნებისმიერი ორგანიზაციისათვის და, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტებისათვის, ფრიად მნიშვნელოვანია დროში სტაბილურობის განცდა. საუნივერსიტეტო განვითარების პრიორიტეტების გამოკვეთაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროში განხორციელებული ქმედებები და გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები. ამიტომ, კარგია, როდესაც საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირების შემუშავებაში, გარკვეული დოზით, ჩართულია სასწავლო დაწესებულებებიც. ამ შემთხვევაში, პროცესი გამჭვირვალეა და უფრო გასაგებია განათლების სისტემის ნებისმიერი სუბიექტისათვის.

ზოგადად, ურთიერთობის ფორმატი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: სამინისტრო გვევლინება მაორიენტირებლის როლში, რომელიც სახავს საერთო პოლიტიკასა და სტრატეგიებს. უნივერსიტეტები წარმოადგენენ მისი რეფორმისტული პოლიტიკის განხორციელებისა და ტერიტორიულ-სივრცულ დონეზე განფენის მძლავრ ბერკეტებს, რომლებსაც, იმავდროულად, საკუთარი კერძო მისწრაფებები აქვთ და რომელთა რეალიზაციისათვისაც ავტონომიურობის საკმარისი ხარისხი სჭირდებათ.

ცხადია, სამინისტრო უხეშად არ უნდა ერეოდეს საგანმანათლებლო სუბიექტების სამომავლო პრიორიტეტების დასახვისა და მათი მიღწევის პროცესში. თუმცა, უნივერსიტეტები საკუთარი განვითარების სტრატეგიების შემუშავების პროცესში ორიენტირად უნდა იღებდნენ საერთო სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მისწრაფებებს, მიდგომებსა და პრიორიტეტებს.

ზოგადად, განათლების სფეროში სახელმწიფოებრივი მმართველობის დეცენტრალიზაციის პროცესი უნდა გაღრმავდეს იმდენად, რამდენადაც ამისათვის მზად იქნებიან თვით უნივერსიტეტები თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი შეიძლება პირიქით, უარყოფითი იყოს.

* * *

რამდენიმე საკითხზე გავამახვილებდი ყურადღებას:

1. მისასალმებელია, რომ მინისტრი ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს შემდგომ ინტეგრირებას ბოლონიის პროცესში და ამ მიმართულებით შემდგომი აუცილებელი ნაბიჯების გადადგმას;

2. საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული რეფორმა იყო ეროვნული გამოცდების შემოღება. ვფიქრობთ, რომ ეს პროცესი მხარდასაჭერია, რა თქმა უნდა, იმ ხარვეზების გამოსწორების ფონზე, რაც იკვეთებოდა გასულ წლებში;

3. ცნობილია, რომ საქართველოს ბევრ უნივერსიტეტს, მ.შ. აწსუ-ს, შეეცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ისინი ჩამოყალიბდნენ, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. ეს ახალი გამოწვევაა საქართველოს უსდ-თვის და თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, სასიცოცხლოდ აუცილებელია, დაჩქარდეს ისეთი საკითხების გარკვევა, როგორებიცაა: ქონების გადაცემის პროცესის დასრულება; „უნივერსიტეტების განვითარების ფონდების“ ფორმირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების გარკვევა და ა.შ;

4. უნივერსიტეტების შემდგომ წინსვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამებისათვის საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების შესაძლებლობების განვითარების პროცესის მხარდაჭერა სამინისტროს მხრიდან. აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ახალი, თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების ფორმირებაზე, სტუდენტების ურთიერთგაცვლის მასშტაბების გაფართოებაზე, უსდ-ების საერთაშორისო ცნობადობის ამაღლებაზე, მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებით ინტეგრირებასა და ა.შ;

5. შეიძლება ითქვას, რომ აწსუ-ში უკვე ტრადიციად იქცა პერიოდული შეხვედრები მასმედიის წარმომადგენლებსა და არასამთავრობო სექტორთან. აღნიშნული ხელს უწყობს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის ხარისხის ზრდასა და საზოგადოების ფართო ფენების დაახლოებას უნივერსიტეტთან.

საბოლოოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს უნივერსიტეტებში, მათ შორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც, ბოლო პერიოდში, ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა, არაერთი ნოვაცია დაინერგა, გამოიკვეთა სამომავლო პრიორიტეტები და ა.შ. კარგი იქნება, თუ შედგება შეხვედრები სამინისტროსა და უნივერსიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც გაიმართება საუბარი სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე, მოხდება მოსაზრებების ურთიერთგაზიარება და შეჯერება, რაც დაეხმარება უსდ-ებს ადეკვატურად უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებს.

აქტუალური თემა

აუცილებელია გონივრულად შედგენილი საკანონმდებლო ბაზა

შოთა ჯინჯიხაძე
ტყიბულის №6 საჯარო სკოლის დირექტორი

დღეს საზოგადოება ახალი მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით სასიკეთო ცვლილებების მოლოდინშია. განსაკუთრებული მოლოდინი იგრძნობა განათლების სისტემის მუშაკებში, რომლებმაც წლების განმავლობაში ვერ მიიღეს ერთიანი მწყობრი განათლების სისტემა, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს ქვეყნის წინაშე მოქალაქის სრულყოფილი განათლების მიცემაზე. ყოველი ახალი მინისტრის მოსვლა იწყებოდა საკუთარი იდეების ჩანერგვით განათლების სისტემაში, რომლის შედეგის ანალიზი აღარ ხდებოდა, რადგან პიროვნებები იცვლებოდნენ. ამის არაჩვეულებრივი მაგალითია ბოლო წლები, როცა საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე დაიწყო არაგრძელვადიანზე მუშაობა. ეს ეხებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის, ეროვნული სასწავლო გეგმის ბაზისის, ეროვნული სასკოლო ბაზის, ეროვნული ტესტების, ეროვნული ტესტირების, ეროვნული ტესტირების ცენტრის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის ბაზისის, ეროვნული ტესტირების ცენტრის ბაზის

მეთოდიკა

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

დენის მუშაობა და სიმძლავრე

ამოცანა 83

განვსაზღვროთ აკუმულიატორების ბატარეის მოკლე ჩართვის დენი I_0, დატვირთვის $I_1=5$ ა დენის შემთხვევაში გარე წრედში გამოიყოფა $P_1=9,5$ ვტ სიმძლავრე, $I_2=8$ ა დენის ძალის შემთხვევაში კი - $P_2=14,4$ ვტ სიმძლავრე.

ამოხსნა

გარე წრედში გამოყოფილი სიმძლავრე $P_1=I_1U_1$, სადაც U_1 გარე წრედში ძაბვაა I_1 დენის ძალის დროს. გავითვალისწინოთ, რომ $U_1=E-I_1r$, ამიტომ $P_1=I_1\left(E-I_1r\right)=EI_1-I_1^2r$ (1).

აქ r დენის წყაროს შიდა წინაღობაა. ანალოგიურად, $P_2=EI_2-I_2^2r$ (2). ბატარეის მოკლე ჩართვისას გარე წრედის წინაღობა $R=0$. ამ შემთხვევაში $I_0=\frac{E}{r}$. (1) და (2) განტოლებებში ფრჩხილებს გარეთ გავიტანოთ r მივიღებთ:

$\frac{P_1}{r}=\frac{E}{r}I_1-I_1^2$ $\frac{P_2}{r}=\frac{E}{r}I_2-I_2^2$, ან $\frac{P_1}{r}=I_0I_1-I_1^2$, $\frac{P_2\left(I_0I_1-I_1^2\right)}{P_1}=I_0I_2-I_2^2$ საიდანაც მივიღებთ:

$I_0=\frac{P_1I_2^2-P_2I_1^2}{P_1I_2-P_2I_1}=62$ ა.

ამოცანა 84

E ემძ-ის და r შიდა წინაღობის დენის წყაროსთან R წინაღობის რეზისტორის მიერთებისას გარე წრედში გამოყოფილი მაქსიმალური სიმძლავრე $P=9$ ვტ აღმოჩნდა. ამ შემთხვევისთვის დენის ძალა წრედში $I=3$ ა. ვიპოვოთ E და r.

ამოხსნა



გარე წრედში გამოყოფილი სიმძლავრე $P=EI-I^2r$ (1) (იხ. ამოცანა 83-ის ამოხსნა). მიღებული გამოსახულების გრაფიკი წარმოადგენს პარაბოლას (იხ. სურათი), რომლის წვეროს ვერტიკალური კოორდინატი შეესაბამება გარე წრედში მაქსიმალურ სიმძლავრეს, ჰორიზონტალური კი - დენის შესაბამის მნიშვნელობას. სიმძლავრის ფორმულას მივცეთ შემდეგი სახე: $P=I(E-Ir)$. როგორც ამ ფორმულიდან და გრაფიკიდან ჩანს, გარე წრედის სიმძლავრე ნულის ტოლი ხდება ორ შემთხვევაში - 1) $I_1=0$ და 2) $I_2=E/r$.

პირველი შემთხვევა შეესაბამება წრედის განრთულ მდგომარეობას, ანუ როცა გარე წრედის წინაღობა $R=\infty$, მეორე კი - იმ შემთხვევას, როცა გარე წრედის წინაღობა $R=0$ - მოკლე ჩართვის პირობა. გრაფიკის სიმეტრიიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გარე წრედში მაქსიმალური სიმძლავრე მიიღება, როდესაც დენის ძალა $I=E/2r$ (იხ. სურათი). ამ ფორმულიდან გამოვსახოთ ემძ: $E=2rI$ (2) და შევიტანოთ (1)-ში: $P=2rI^2-I^2r$ საიდანაც $r=P/I^2=1$ ომი. შიდა წინაღობის მიღებული მნიშვნელობა შევიტანოთ (2)-ში და მივიღებთ ემძ-ს საძიებელ მნიშვნელობას: $E=6$ ვ.

ამოცანა 85

r შიდა წინაღობის დენის წყაროსთან მიერთებულია $R=r$ წინაღობის რეზისტორი. როგორ შეიცვლება მასში გამოყოფილი სიმძლავრე, თუ მას მივუერთებთ მეორე ასეთივე რეზისტორს მიმდევრობით? პარალელურად?

ამოხსნა

R რეზისტორში გამოყოფილი სიმძლავრე მეორე გამტარის მიერთებამდე ტოლი იქნება: $P_1=I_1^2R$, სადაც I_1 ამ შემთხვევაში წრედში დენის ძალაა, რომელიც შემდეგი ფორმულით შეიძლება გამოვსახოთ: $I_1=E/2R$. დენის ძალის ეს მნიშვნელობა ჩავსვათ სიძლავრის ფორმულაში: $P_1=E^2/4R$. R-თან მეორე ასეთივე რეზისტორის მიმდევრობით მიერთების შემდეგ გარე წრედის წინაღობა გახდება, ამიტომ დენის ძალა ტოლი იქნება: $I_2=\frac{E}{R+2R}=\frac{E}{3R}$. ამ შემთხვევაში R რეზისტორში გამოყოფილი სიმძლავრისთვის მივიღებთ: $P_2=\frac{E^2}{9R}$. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეზისტორში გამოყოფილი სიმძლავრე შემცირდება $\frac{P_1}{P_2}=\frac{9}{4}$-ჯერ.

R-თან მეორე ასეთივე რეზისტორის პარალელურად მიერთების შემდეგ გარე წრედის წინაღობა $R/2$ გახდება, ამიტომ დენის ძალა მიიღებს შემდეგ მნიშვნელობას: $I_3=\frac{E}{R+\frac{R}{2}}=\frac{2E}{3R}$. ამ შემთხვევაში R რეზისტორში გამოყოფილი სიმძლავრისთვის მივიღებთ: $P_3=\frac{4E^3}{9R}$. ამგვარად, პარალელურად ჩართვისას R რეზისტორში გამოყოფილი სიმძლავრე გაიზრდება $\frac{P_3}{P_1}=\frac{16}{9}$-ჯერ.

ამოცანა 86

სურათზე გამოსახული წრედის გარე ნაწილში ერთი და იგივე სიმძლავრე გამოიყოფა ჩამრთველის როგორც ჩართულ, ასევე გამორთულ მდგომარეობაში. განვსაზღვროთ დენის წყაროს შიდა წინაღობა, თუ $R_1=12$ ომს და $R_2=4$ ომს.



ამოხსნა

გარე წრედში გამოყოფილი სიმძლავრე ტოლია $P_1=I^2R$, სადაც I - დენის ძალაა, R - გარე წრედის წინაღობა. ჩამრთველის ჩართულ მდგომარეობაში გარე წრედი წარმოადგენს R_1 და R_2 რეზისტორების პარალელურ შეერთებას და ამიტომ გარე წრედის წინაღობა ტოლია: $R=\frac{R_1R_2}{R_1+R_2}=3$ ომი. ამ შემთხვევაში გარე წრედში შემდეგნაირად გამოისახება: $P_1=I_1^2R=\frac{E^2}{\left(R+r\right)^2}R$ აქ E - დენის წყაროს ემძ-ა, r - მისი შიდა წინაღობა. ჩამრთველის გამორთული მდგომარეობისთვის გარე წრედში რჩება მხოლოდ R_1 რეზისტორი და მასში გამოყოფილი სიმძლავრე ტოლია: $P_2=I_2^2R_1=\frac{E^2}{\left(R_1+r\right)^2}R_1$. თუ გავითვალისწინებთ, რომ $P_1=P_2$, მივიღებთ: $\frac{E^2}{\left(R+r\right)^2}R=\frac{E^2}{\left(R_1+r\right)^2}R_1$. ამოვხსნათ ეს განტოლება r -ის მიმართ შემდეგი თანამიმდევრობით: ჯერ ჩავწეროთ გამოსახულება $\frac{R}{\left(R+r\right)^2}=\frac{R_1}{\left(R_1+r\right)^2}$, შემდეგ ამოვიღოთ ფესვი განტოლების ორივე მხრიდან: $\frac{\sqrt{R}}{R_1+r}=\frac{\sqrt{R_1}}{R_1+r}$ და გავამარტივოთ: $r\left(\sqrt{R_1}-\sqrt{R}\right)=R_1\sqrt{R}-R\sqrt{R_1}$. ამ განტოლების შემდგომი გამარტივებით მივიღებთ ფორმულას დენის წყაროს შიდა წინაღობის განსაზღვრისათვის: $r=\sqrt{R_1R}=6$ ომი.

ამოცანა 87

$P=800$ ვტ სიმძლავრეზე გათვლილი ელექტროქურა ჩართულია $U=120$ ვ ძაბვის ქსელში $R=4$ ომი წინაღობის შემაერთებელი სადენების მეშვეობით. გავიგოთ ქურის წინაღობა.

ამოხსნა

ქურის სიმძლავრე $P=I^2R$, სადაც I - დენის ძალაა წრედში, R - ქურის წინაღობა. დავწეროთ დენის ძალის გამოსაანგარიშებელი ფორმულა $I=\frac{U}{R+r}$ და ეს გამოსახულება ჩავსვათ სიმძლავრის ფორმულაში: $P=\frac{U^2}{\left(R+r\right)^2}R$. მივიღეთ კვადრატული განტოლება R-ის მიმართ, რომელიც სტანდარტული სახით შემდეგნაირად ჩაიწერება: $R^2+\left(2r-\frac{U^2}{P}\right)R+r^2=0$, ან $R^2-10R+16=0$, საიდანაც ვღებულობთ ორ პასუხს $R_1=8$ ომს, $R_2=2$ ომს. ორი პასუხის მიზეზის დასადგენად გამოვიყენოთ 84-ე ამოცანის ამოხსნაში მოყვანილი სიმძლავრის დენის ძალაზე დამოკიდებულების გრაფიკი, საიდანაც ჩანს, რომ გარე წრედში გამოყოფილი სიმძლავრე ერთი და იგივე მნიშვნელობას იღებს დენის ძალის ორი სხვადასხვა მნიშვნელობისთვის (გარდა მაქსიმალური მნიშვნელობისა). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ელექტროქურის ორი სხვადასხვა წინაღობისთვის გარე წრედში ერთი და იგივე სიმძლავრე გამოიყოფა.

თეიმურაზ გაჩეჩილაძე
აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე

საგანმანათლებლო კერა

რუსთავის სკოლების ისტორია XX საუკუნის შუახანებში

შეუძლებელია ისაუბრო რუსთავზე და არ გაიხსენო მისი 2400-წლიანი ისტორია. საქართველოს სოციალისტური ხელისუფლება გასულ საუკუნეში იმდენად გატაცებული იყო თავისი შემოქმედების პოპულარიზაციით, რომ ხშირად ავიწყდებოდა ამ ქალაქის დიდი წარსულის გახსენება და, შედეგად, საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს დღესაც კი სჯერა, რომ რუსთავის ისტორია, სულ რაღაც, რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. შესაბამისად, განათლების ისტორიაც იკარგება საუკუნეების სიღრმეში.

ძველი ქართული წერილობითი წყაროები მწირ ცნობებს გვაწვდიან საქართველოს საგანმანათლებლო კერების შესახებ. ეს ეხება რუსთავსაც. თუმცა, რუსთავის წარსულში მიმობნეული პაწაწინა მარგალიტებით – არაპირდაპირი ცნობებით მაინც შესაძლებელია აიკინძოს ინფორმაცია რუსთავის განათლების ისტორიის შესახებ.

მართალია, რუსთავი ვერ დაიკვეხნის განათლების უდიდესი ცენტრის სახელს, გელათისა თუ იყალთოს აკადემიებისგან განსხვავებით, მაგრამ თუ შოთა რუსთაველი ამ ქალაქიდან იყო (რასაც ზოგი ისტორიკოსი უჭერს მხარს), მაშინ მცირეოდენ მაინც გვიჩნდება რწმენა იმისა, რომ შუა საუკუნეების რუსთავში, გარკვეული ფორმით, არსებობდა განათლების მიღების შესაძლებლობა.

საინტერესოა, რომ რუსთავის არქეოლოგიური შესწავლის დროს აღმოჩნდა თიხის არაერთი ნამტვრევი ქართული ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებით, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ წერა-კითხვა მოსახლეობის დაბალმა ფენებმა (სულ მცირე, მეთუნე ხელოსნებმა მაინც) იცოდნენ.

IV საუკუნის ბოლოს ქართლის მეფე თრდატი (მეფე მირიანის შვილიშვილი), რომელიც უფლისწულობის პერიოდში სწორედ რუსთავში ცხოვრობდა, აქ აგებს პირველ ეკლესიას, ხოლო V საუკუნეში ვახტანგ გორგასალი რუსთავში ქმნის საეპისკოპოსო კათედრას. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ შუა საუკუნეებში ეკლესია იყო განათლების ცენტრი. შესაბამისად, იოლი წარმოსადგენია, თუ სად იფართოებდა ძველი რუსთავის მცხოვრები თავისი ცოდნის თვალსაწიერს.

რუსთავისთვის საბედისწერო აღმოჩნდა 1265 წელს ოქროს ურდოს მმართველის ბერქა ყაენის შემოსევა. აყვავებული ქალაქი ნაქალაქარად გადაიქცა. მის ტერიტორიაზე მხოლოდ მცირე დასახლება განაგრძობდა არსებობას. რუსთავის ეპისკოპოსის რეზიდენცია გადავიდა მარტყოფში (თუმცა, მას მაინც რუსთველის ტიტულით მოიხსენიებდნენ). შესაბამისად, რუსთავში შეწყდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაც.

რუსთავის განათლების ისტორია გადაჯაჭვულია ქალაქის ისტორიასთან, ქალაქთან ერთად იბადება, როგორც ადამიანის ცხოვრების ბუნებრივი თანამგზავრი და იზიარებს მის ხვედრს. ამიტომ, გვერდს ვერ ავუვლით ქალაქ რუსთავის განახლების ისტორიაზე საუბარს.

„40 ძმის ქალაქი“, „სოციალისტური ქალაქი“ – რუსთავმა ამ ეპითეტებით დაიმკვიდრა ადგილი გასული საუკუნის საქართველოს ცნობიერებაში და, შესაბამისად, მისი განათლების სისტემაც გამსჭვალული იყო ინტერნაციონალიზმისა და სოციალიზმის სულისკვეთებით.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ, როცა გერმანიის წინააღმდეგ უმძიმესი ბრძოლები მძვინვარებდა, როცა მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობდა და უსახლკაროდ იყო დარჩენილი, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ შეძლო გამოეყო სახსრები ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატისა და ახალი ქალაქის ასაშენებლად. თანაც, ამ ქარხნის პროდუქცია გერმანიის წინააღმდეგ ომის საჭიროებებისთვის სულაც არ იყო გამიზნული.

1944 წლის აპრილში, როცა ის-ის იყო იწყებოდა გერმანიის ჯარების განდევნა სსრკ-ს ოკუპირებული ტერიტორიიდან, ყარაიაზის (თანამედროვე გარდაბნის) რაიონში, ნაქალაქარ რუსთავის მიდამოებში, უდაბურ სტეპში სარკინიგზო ასაქცევ სადგურში ჩამოდის სამშენებლო მასალებითა და მშენებლებით დატვირთული მატარებელი, რომელიც უკან აღარ ბრუნდება, რადგანაც მისი ვაგონები საცხოვრებელ სახლებად და საწყობებად გადააკეთეს. მიზეზს თავადაც მიხვდებით – ეს ხომ თითქმის დაუსახლებელი ადგილი გახლდათ და ახალმოსულთათვის არსად მოიპოვებოდა თავშესაფარი. ირგვლივ ტურები დაძრწოდნენ. უდაბნოს მდუმარებას არღვევდა რკინიგზის სადგურ „რუსთავის“, სამოქალაქო ავიოკლუბის (შემდეგში საავიაციო სკოლა, ე.წ. „ავიასკოლა“), რუსთავის ნავთის გადასაქაჩი სადგურ „აზნევთისა“ და რუსთავის ციხესიმაგრის მიდამოებში მცხოვრები, სარწყავი არხის სათავე ნაგებობის მომსახურე, მცირერიცხოვანი პერსონალი და მათი ოჯახები. სავარაუდოდ, სწორედ მათი შვილები სწავლობდნენ სკოლაში, რომლის შესახებ ცნობები დაცულია რუსთავის არქივში.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ანგარიშის („რიჩჰი“) ფორმა A-III-ის თანახმად, 1943 წელს, რუსთავში არსებობდა **რუსულენოვანი არასრული საშუალო სკოლა**. აქ 1 სექტემბერს I-VI კლასებში სწავლა დაუწყია 80 მოსწავლეს, თუმცა სასწავლო წლის ბოლოს, 1944 წლის მაისში, მხოლოდ 60 ბავშვიღა დარჩენილა. ამ სკოლის ფართი იყო 58მ^2 და შედგებოდა 3 საკლასო ოთახისაგან. სად იდგა ეს სკოლა ან როგორი შენობა იყო, ამის შესახებ არქივებში ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ.

როგორც ვხედავთ, სანამ ძველი ქალაქის მიდამოები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული მშენებლებით აივსებოდა, აქ არ ყოფილა სულ მთლად ტრიალი მიდამო, არ ყოფილა სულდგმულისაგან სრულიად მიტოვებული ძველი საქართველოს ერთ-ერთი დიდი ქალაქის, რუსთავის სანახები. თუმცა, ახლა მისი ნანგრევებიდან წამოდგომა, ახალი სიცოცხლის დაწყება, ბედის ირონიით, სხვადასხვა ერის, შრომით-გამასწორებელი კოლონიის პატიმრებისა თუ გერმანელი ტყვეების უმძიმესი შრომის შედეგად უნდა მომხდარიყო...



რუსთავის №1 სკოლის მშენებლობა, 1944 წ.

რუსთავის №1 სკოლა, 1945 წლის გაფართოების შემდეგ

მე-13 საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მშენებლობა

რა თქმა უნდა, მთელი ამ ჭრელი საზოგადოების საერთო ენა იყო რუსული, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მშენებლების შვილებისთვის გახსნილი, 400მ^2 ფართობის სახელდახელოდ აგებულ, ბარაკის ტიპის (ე.წ. „დრანკის“) **შვიდწლიან სკოლაში** სწავლების ენა იყო რუსული. სკოლაში, 1944/1945 სასწავლო წელს, სწავლობდა 238 მოსწავლე, მათ შორის, მხოლოდ ათი ყოფილა ქართველი. მოსწავლეთა რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა, რა თქმა უნდა, შესაბამის წარმოდგენას გვიქმნის მაშინდელი რუსთავის მოსახლეობაზე. მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის დაწყებამდე, არსებული, ზემოთ ნახსენები სკოლა, როგორც ჩანს, გაუქმებულა. ამას ადასტურებს რუსთავის ერთ-ერთი პირველი მასწავლებლის ნ.მ. სიხნოს მოგონება (დაცულია რუსთავის მუზეუმში), რომ მათ სკოლაში სპეციალურ მანქანებს მოჰყავდათ ბავშვები „აზნევთის“ სახლიდან და ახლომდებარე სხვა დასახლებებიდან და, ამასთან, აღარც სხვა დოკუმენტი შეგვხვედრია არქივში იმ 58მ^2 ფართობიანი სკოლის შესახებ. საარქივო მასალებში იმ სკოლის საბუთები ჩართულია აღნიშნული 400მ^2 ფართობის მქონე სკოლის საბუთებში.

რუსთავის მცხოვრებთა რაოდენობა ყოველდღიურად იცვლებოდა: ზოგი ჩამოსული აქ სახლდებოდა, ზოგი კი ვერ უძლებდა არსებულ უმძიმეს პირობებს და აქაურობას ტოვებდა. ეს, რა თქმა უნდა, აისახა სკოლის ცხოვრებაზეც. თუ 1945/1946 სასწავლო წლის დასაწყისში 308 მოსწავლე ჰყავდათ, წლის ბოლოს 272-მდე შემცირებულა. თუმცა, ქალაქისა და მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის მასშტაბების ზრდასთან ერთად, ზოგადად, იზრდებოდა მოსახლეობის რაოდენობა. ამიტომაც, სკოლისათვის, 1945 წელს, მიუშენებიათ ფლიგელი. შედეგად, სკოლის ფართი გაორმაგდა (გახდა 894 მ^2) და ის უკვე **რუსთავის საშუალო სკოლად** გადაკეთდა.

ზემოთ ნახსენები ნ. მ. სიხნო იგონებს, რომ ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის ოქტომბერში, არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩამოსულა რკინიგზის სადგურ „რუსთავში“, საიდანაც მისთვის დაუნახავებიათ სოფლის ადგილმდებარეობა. ეს შენობა ახლაც დგას არხის პირას, ქალაქის პირველი სახლების გარემოცვაში, როგორც უტყვი მოწმე 40-იანი წლების დუხჭირი ცხოვრებისა. პირველი ქართული სკოლის დირექტორი ქ. ზარქუა იხსენებს, რომ სკოლაში ხშირად ჩამოდიოდა წვიმა (არადა ახლად აშენებული ნაგებობა იყო), გასათბობად ღუმელებში ნახერხს ყრიდნენ, რის გამოც იკვამლებოდა საკლასო ოთახები, ხშირად სხვადასხვა კლასის ბავშვების მეცადინეობა ერთ კლასში მიმდინარეობდა, არ ჰქონდათ ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, მისასვლელა ამის წარმოდგენაც კი გაუჭირდება ადამიანს, ვინც კარგად იცის ყოფილი №5 სკოლის ადგილმდებარეობა. ეს შენობა ახლაც დგას არხის პირას, ქალაქის პირველი სახლების გარემოცვაში, როგორც უტყვი მოწმე 40-იანი წლების დუხჭირი ცხოვრებისა. პირველი ქართული სკოლის დირექტორი ქ. ზარქუა იხსენებს, რომ სკოლაში ხშირად ჩამოდიოდა წვიმა (არადა ახლად აშენებული ნაგებობა იყო), გასათბობად ღუმელებში ნახერხს ყრიდნენ, რის გამოც იკვამლებოდა საკლასო ოთახები, ხშირად სხვადასხვა კლასის ბავშვების მეცადინეობა ერთ კლასში მიმდინარეობდა, არ ჰქონდათ ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი, მისასვლელი გზები წვიმის დროს გაუვალი ხდებოდა, სასმელი წყლის ადუღება უწევდათ. მასწავლებლებს ავალდებულებდნენ, მოეძებნათ სასკოლო ასაკის ბავშვები აქა-იქ გაბნეულ ახლად აშენებულ სახლებში. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ 1944-46 წლებში პირველ კლასში სწავლობდნენ 7-10 წლის ბავშვები. ეტყობა, ომის პირობებში მათ ვერ უხერხდებოდათ სკოლაში სწავლის დროულად დაწყება.

→ 10

საგანმანათლებლო კერა

რუსთავის სკოლების ისტორია XX საუკუნის შუახანებში

მე-9 გვერდიდან

არ ჰყოფნიდათ მასწავლებლები. მაგალითად, 1944-46 წლებში, სკოლაში ჰყავდათ ერთადერთი ქართულის მასწავლებელი – რაისა სვანი, რომელიც თბილისიდან დადიოდა მატარებლით (მხოლოდ ამ ტრანსპორტით შეიძლებოდა მაშინ რუსთავში ჩამოსვლა) და ატარებდა კვირაში 40-45 საათს. რუსთავის არქივში დაცულ ბრძანებების წიგნში საუბარია 1948 წელს პედაგოგიური და საშუალო განათლების არმქონე მასწავლებელთა გათავისუფლებაზე. როგორც ჩანს, ამ პრობლემის მოგვარება აქტიურად დაუწყიათ 1948 წლიდანვე, როცა რუსთავში გამოაგზავნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პუშკინის სახ. ინსტიტუტის, ქუთაისის, გორის, სტალინირის (ახლა ცხინვალის), სოხუმის პედინსტიტუტების კურსდამთავრებული ახალბედა პედაგოგები.

ხელისუფლება ცდილობდა, ბავშვებისათვის შეემსუბუქებინა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები: სკოლაში მათ ეძლეოდათ უფასო სადილი, ხოლო განსაკუთრებულად გაჭირვებულებს – მატერიალური დახმარება (ნ. მ. სიხნოს მოგონებიდან).

ომის შემდგომ ისედაც მძიმე ცხოვრებას კიდევ უფრო ართულებდა რუსთავის გაუმართავი და მშენებლობის პროცესში მყოფი ინფრასტრუქტურა. ამიტომ, ხშირი იყო მოსახლეობის მიგრაცია. ასე მაგალითად, 1946/1947 სასწავლო წელს 550 მოსწავლიდან 67სხვა რესპუბლიკებში წასულა. ზოგი მოსწავლე მუშაობას იწყებს და გადადის **რუსთავის მუშა ახალგაზრდობის საღამოს სწავლების საშუალო სკოლაში,** რომელიც 1947 წლისათვის უკვე გახსნილი იყო. ამ ტიპის სკოლაზე მოთხოვნილება განსაკუთრებით მაღალი იყო რუსთავში, სადაც თავს იყრიდნენ ბედისა და სამუშაოს საძიებლად სოფლებიდან თუ სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ახალგაზრდები, რომლებმაც ომის პირობებში ვერ მოახერხეს განათლების დროულად მიღება.

რუსთავის საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის საყურადღებოა 1947 წელს გახსნილი **№13 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა**. აქ ქარხნისათვის ამზადებდნენ კვალიფიციურ მუშებს. ომის შემდგომ წლებში ასეთ სასწავლებლებში, უმეტესად, დაობლებული ბავშვები სწავლობდნენ. აქ მათ უქმნიდნენ ბავშვთა სახლებზე უკეთეს საცხოვრებელ პირობებს. ხელისუფლება ამით ცდილობდა, ერთი მხრივ, დაეკმაყოფილებინა ქარხნის მოთხოვნა კვალიფიციურ მუშახელზე, რომელმაც იცოდა ტექნიკასთან მუშაობა და, მეორე მხრივ, უდედმამო ბავშვებს, რომელთა რიცხვიც ომის გამო საკმაოდ მაღალი იყო, უქმნიდა საარსებო წყაროს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ამოქმედდა მაშინ, როცა ქარხნის მშენებლობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და მას ჯერ არ ჰქონდა გამოშვებული თავისი მთავარი პროდუქტი – ფოლადის ნადნობი (პირველად გამოადნეს 1950 წ.).

1946/47 სასწავლო წელს, რუსთავის რუსულ საშუალო სკოლაში გაიხსნა ქართული სექტორი, სადაც 10 პირველკლასელი სწავლობდა. როგორც ჩანს, რუსული სკოლის თითოეულ კლასში იყვნენ ქართველები, რის გამოც, 1948 წელს, როცა რუსული სკოლა გადავიდა ახალ, კაპიტალურად ნაგებ, ორსართულიან შენობაში (სადაც ახლა რუსთავის №1 საჯარო სკოლაა), დაცარიელებულ ბარაკში **რვაწლიანი პირველი ქართული სკოლა** გახსნეს. აქ VII კლასში მხოლოდ ერთი მოსწავლე ჰყავდათ. წლის დასაწყისში იყო 40 მოსწავლე, III მეოთხედის ბოლოს კი – 80. როგორც ვხედავთ, სწრაფი ზრდის მიუხედავად, ქართულ სკოლას საოცრად მცირე კონტინგენტი ჰყავს მაშინ, როცა 1948 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერით, რუსთავში 18 714 მოქალაქე ცხოვრობდა და მას რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის სტატუსი მიანიჭეს. რასაკვირველია, ამას თავისი ახსნა აქვს: მოსახლეობაში ჭარბობდა სსრკ-ს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული რუსულენოვანი მშენებლების ოჯახები, ხოლო ქართველები, ალბათ, ან თავს არიდებდნენ შვილების ჩაყვანას იქ, სადაც ესოდენ მოუწყობელი იყო საცხოვრებელი პირობები, ან შეგნებულად შეჰყავდათ შვილები რუსულ სკოლაში, რადგან მშენებარე ქარხნის ადმინისტრაციის ენა რუსული იყო და მისი კარგი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელი იყო კარიერული წინსვლა.

1949 წელს IX კლასში ჰყავდათ 3 მოსწავლე. ამიტომ რვაწლიანი ქართული სკოლა გადაკეთდა **საშუალო სკოლად** (ახლა მას რუსთავის №2 საჯარო სკოლა ეწოდება). ამავე წელს, ქალაქში გაიხსნა ბავშვთა სახლი, რამაც საგრძნობლად გაზარდა მოსწავლეთა რაოდენობა ქართულ სკოლაში. 1952 წ. მათ იზეიმეს ახალმოსახლეობა ახალ კაპიტალურ შენობაში.

თანდათანობით, 1949 წლიდან, ინტენსიურად იზრდებოდა რუსული სკოლების რაოდენობა მაშინ, როცა ქართული სკოლების რიცხვი ნელი ტემპით მატულობდა. მაგალითად, 1950 წელს რუსთავში იყო 6 რუსული (2 დაწყებითი, 3 რვაწლიანი, 1 საშუალო) სკოლა, რომლებიც რუსთავის მრავალეთნიკურ მოსახლეობას ემსახურებოდა, ხოლო ქართული დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო თითო-თითო იყო.

საბჭოთა პერიოდში დიდი ყურადღება ენიჭებოდა საშუალო სკოლაში მოსწავლეთა შრომით აღზრდას. სკოლებთან არსებობდა საცდელი ნაკვეთები, რომელსაც ბავშვები უვლიდნენ. 1962-66 წლებში, №2 სკოლაში ჰქონდათ ლითონისა და ხის დამამუშავებელი საამქრო და მოსწავლეებს, ატესტატთან ერთად, პროფესიული მომზადების მოწმობა ეძლეოდათ. როგორც ჩანს, მაინცადამაინც დიდი შედეგი არ ჰქონდა ამ პროგრამას, რაკიღა ასე მალე შეწყვეტილა მისი სწავლება.

საბჭოთა განათლების სისტემაზე ბოლშევიკური იდეოლოგიის გავლენა აშკარად იკითხება სკოლის პედსაბჭოების ოქმებშიც. აქ მიღებული დადგენილებები ეხება ოქტომბრის რევოლუციის, სტალინის დაბადების, ლენინის დაბადებისა და გარდაცვალების, სუვოროვის გარდაცვალების, სტალინური კონსტიტუციის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების იუბილეების აღსანიშნავ ღონისძიებებს. მაგალითად, ლენინის გარდაცვალების 25 წლისთავის სამგლოვიარო-საზეიმო სხდომაზე სკოლის დირექტორს გაუკეთებია მოხსენება თემაზე – „25 წელი ულენინოდ, ლენინის დროშით, სტალინის ხელმძღვანელობით, წინ, კომუნიზმისკენ! “ კონსტიტუციის იუბილეზე კი – „სტალინური კონსტიტუცია ყველაზე უფრო დემოკრატიულია მსოფლიოში!“. ამავე თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს რუსთავის №2 სკოლის ისტორიის ხელნაწერი ნარკვევი, სადაც ა. თავაძე 10 გვერდს უთმობს სკოლის მიერ „მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდის მიზნით“ გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალს. თვალში მოგხვდებათ ამავე წიგნის მე-15 გვერდზე ჩაკრული 1949 წ. გადაღებული სურათი, სადაც მოსწავლე-მასწავლებლები დგანან ლენინ-სტალინის ვეებერთელა სურათების ქვეშ.

რუსთავის სკოლების შესახებ რამდენიმე წიგნია გამოცემული: „ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო ტაძრის მესვეტენი“, შემდგენელი დავით კაკაბაძე და ბელა ჯანგიძე-გოცირიძის „ვქმენ გულისა...“. ამ წიგნებში მოცემული ზოგიერთი ცნობა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რაც გარკვეულ გაუგებრობას იწვევს. წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ დამატებითი დოკუმენტების მოძიებას და მათი შეჯერების შედეგად მეტ-ნაკლები სისრულით აღვადგინეთ რუსთავისა და მისი განათლების კერების არცთუ დიდი ხნის წარსული.

მანანა ხავთასი
რუსთავის ისტორიული მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი

თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სკოლა აცხადებს კონკურსს სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

1. გამოცხადდეს კონკურსი თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სკოლაში სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;

2. უნივერსიტეტის სრულ პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

3. უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;

4. უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორად 3 (სამი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

5. კონკურსი გამოცხადდეს 2012 წლის 29 ოქტომბერს. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 29 ნოემბრიდან 2012 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის შემაჯამებელი ოქმი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2012 წლის 17 დეკემბრისა;

6. კონკურსი გამოცხადდეს ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:

ბიზნესის ადმინისტრირება/ფინანსები და საბანკო საქმე/ტურიზმი

სრული პროფესორი – 5 საშტატო ერთეული;
ასოცირებული პროფესორი – 8 საშტატო ერთეული;
ასისტენტ-პროფესორი – 7 საშტატო ერთეული.

7. აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);

ბ) კონკურსანტის ანკეტა, შევსებული დადგენილი ფორმის მიხედვით (ანკეტა წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე CD-ზე ჩაწერილი saxeli.gvari.doc და saxeli.gvari.pdf ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ვ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი სამეცნიერო ნაშრომი.

საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2012 წლის 29 ნოემბრიდან 2012 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში. მისამართი: თბილისი, ჭყონდიდელის N26, I სართული.

ინფორმაცია

ფიზიკის სემინარი მასწავლებლის სახლში

მასწავლებლის სახლში ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში (CERN) მოღვაწე პროფესორებმა: ჰანს ფონ დერ შმიტმა, დარიო ბარბერისმა და ლაშა შერმაზანაშვილმა ფიზიკის სემინარი გამართეს. სემინარზე საუბარი იყო CERN-ში მიმდინარე ექსპერიმენტებსა და ფიზიკაში არსებულ სხვადასხვა მიღწევებზე. მოწვეულმა ექსპერტებმა განიხილეს ის ტექნოლოგიები და მეთოდები, რომლითაც ფიზიკაში მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევები ტარდება, მათ შორის ისაუბრეს ისეთ ცნობილ ექსპერიმენტზე, როგორიცაა ჰიგსის ბოზონის ძიება.

მასწავლებლის სახლში გამართულ ღონისძიებას თბილისის სხვადასხვა სკოლების სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელები, პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ. სემინარის დასრულების შემდეგ მოწვეულ სტუმრებს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა კითხვები დაუსვეს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ცერნის კვლევით ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობს. უკვე მეორე წელია ფიზიკის ქართველი მასწავლებლები ცერნში კვალიფიკაციას იმაღლებენ, სადაც ექსპერტებთან მუშაობის გარდა საშუალება ეძლევათ, სხვადასხვა ცდები ჩაატარონ და სწავლების თანამედროვე მეთოდებს გაეცნონ.

სიახლე!



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი** ახალი
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ** ახალი
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი** ახალი
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი



მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი



ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >